დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ირმა ხმელიძე**

წევრები:

ხატია მჭედლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ვლადიმერ ბერუაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ეკატერინე ჭელიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო თედიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	კერძო
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	443854189

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხაშურის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ხაშური, ახალი ბანას ქუჩა #15
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	samreklo.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dimitrikipiani.s@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599050634; 551254034

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 15 აპრილს MES 0 26 0000431829 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	**2026 წლის 29 და 30 ივნისს**

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ხაშური, ახალი ბანას ქუჩა #15, ერთი შენობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ხაშური, ახალი ბანას ქუჩა #15, ერთი შენობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ხაშური, ახალი ბანას ქუჩა #15, ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2026 წლის 29-30 ივნისს განხორციელდა. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. ერთობლივი შეთანხმებით, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, გაიწერა დისტანციურად ჩართვის დროის განრიგი საგნობრივ ექსპერტებსა და

სკოლის პედაგოგებს შორის. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დათვალიერდა ქალაქი ხაშურის, ახალი ბანას ქუჩა #15-ში არსებული სკოლის ახალი კორპუსის ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დირექციის წარმომადგენლებს, პედაგოგებს, მშობლებს, მოსწავლეებს და ადმინისტრაციულ პერსონალს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა საგნის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტის ბოლოს, შეჯამების სახით, სკოლის წარმომადგენლებს წარედგინათ ძირითადი მიგნებები, რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც გამოიკვეთა სკოლის მასალებით, ინტერვიუებისა და ინფრასტრუქტურის გაცნობის შედეგად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
400	275	*400*

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე განხორციელებული ვიზიტის, დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის მატერიალური გარემოს დათვალიერებისა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან (ადმინისტრაცია, პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები) ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა სკოლის შემდეგი გამორჩეული პრაქტიკა და ძლიერი მხარეები:

- ძლიერი ადმინისტრაციული რესურსი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა მდებარეობდა ქ.ხაშურში, რუსთაველის ქუჩა 2 -ში. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტამდე, სკოლის ადმინისტრაცია იძულებული შეიქმნა შეეცვალა სკოლის მისამართი და დროის უმცირეს პერიოდში მოეძია ალტერნატიული ფართი სკოლის განსათავსებლად. სკოლის ადმინისტრაციას ექსტრემალურ პირობებში, დაგეგმილი

ავტორიზაციის პარალელურად მოუწია აღნიშნული ფართის მოძიება და ვიზიტის ეფექტურად განხორციელებისათვის მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლენა. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ვიზიტისთვის სკოლის ადმინისტრაცია რამდენიმე დღის გადასული იყო ახალ შენობაში, რასაც ხელი არ შეუშლია ვიზიტის ხარისხიანად და წარმატებით ორგანიზებისათვის.

- **ეროვნული და მართლმადიდებლური ღირებულებების ჰარმონიული ინტეგრაცია სასწავლო პროცესში:** სკოლა ფუნქციონირებს სურამისა და ხაშურის ეპარქიის მფარველობით და ზოგადსაგანმანათლებლო სტანდარტებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა სულიერ და ზნეობრივ აღზრდას. სკოლაში აქტიურად მოქმედებს საეკლესიო გალობის, ხალხური ცეკვისა და საეკლესიო ნუსხური წერის წრეები, რაც მოსწავლეებში ეროვნული იდენტობისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი სიყვარულის გაღვივებას ემსახურება.
- **საგანმანათლებლო-შემოქმედებითი პროექტები ეროვნული მეხსიერების შესანარჩუნებლად:** სკოლა გამოირჩევა სკოლის გამორჩეულ აქტივობას წარმოადგენს მოსწავლეთა მიერ დადგმული სპექტაკლი, რომელიც ეძღვნება წმინდა დიმიტრი ყიფიანის (სკოლის მფარველი წმინდანისა და ეროვნული გმირის) ცხოვრებასა და მოღვაწეობას. აღნიშნული შემოქმედებითი პროექტი გაზიარებულია სკოლის სოციალურ ქსელში, რაც ხაზს უსვამს სკოლის როლს, როგორც საზოგადოებრივ და სოციო-კულტურულ ცენტრს.
- **მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ქველმოქმედება:** სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, რაც გამოიხატება ისეთი აქტივობებით, როგორიცაა წიგნების კლუბი და შემეცნებითი პროექტი „ტვინების შეჯიბრი“. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსწავლეთა მიერ ორგანიზებული საკუთარი ხელნაკეთი ნივთების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა, საიდანაც მიღებული სრული ფულადი შემოსავალი მოსწავლეებმა, სკოლის მხარდაჭერით, ქველმოქმედების მიზნით გადარიცხეს „მომავლის სახლში“, რაც თვალსაჩინო მაგალითია მოზარდებში სოლიდარობისა და სამოქალაქო ცნობიერების მაღალი დონისა. ასევე, სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით, სკოლაში დარეგისტრირებული დედ-მამით ობოლი ბავშვები(3 მოსწავლე) გათავისუფლებულები არიან სწავლის გადასახადისგან. სასულიერო პირების შვილები სარგებლობენ მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით, ხოლო მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებზე მოქმედებს შემდეგი პირობა:ორი დედმამიშვილის რეგისტრაციის შემდგომ ორი მომდევნო დედმამიშვილი სრულად გათავისუფლებულია გადასახადისგან. აღნიშნული სოციალური პოლიტიკა მნიშვნელოვანია მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისა და გაძლიერებისთის, რასაც გულმოდგინედ უწევს მზრუნველობას სკოლის დირექცია.
- **სასკოლო საზოგადოების კონსოლიდაცია და პოზიტიური კლიმატი:** მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუებმა გამოავლინა უაღრესად პოზიტიური, მზრუნველი და ოჯახური გარემო. სკოლასა და მშობლებს შორის კომუნიკაცია

არის ორმხრივი, დროული და ეფექტიანი, რაც ეფუძნება როგორც პირად შეხვედრებს, ისე ონლაინ ჯგუფებსა და ელექტრონულ პლატფორმებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---400-	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადამდე(30.09.2026-მდე) უზრუნველყოს სკოლის განვითარების ახალ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცებ აღნიშნული გეგმა უნდა იყოს ციკლური, გამომდინარეობდეს სკოლ რეალური საჭიროებებიდან და ეფუძვნებოდეს სკოლ ფილოსოფიას.ასევე, ის უნდა შეიცავდეს მისიასთან თავსებად მიზნე და მიზნების შესაბამის ამოცანებს.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით გაწერილ პერიოდამდე (15.09.2026-მდე) უზრუნველყოს სსიპ კოლეჯ „ქართლი“-სთან სკოლის ფართის განკარგვასთან დაკავშირებული ხელშეკრულების გაფორმება, რათა უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.5.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი*	*მიზანშეწონილია, სკოლამ ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით უზრუნველყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების თვალსაჩინო ადგილზე (საინფორმაციო დაფაზე) დროული განთავსება საზოგადოების მეტი ინფორმირებულობისთვის.*
1.2.1.1.	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს*	*მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ შეიმუშაოს ახალი ტიტულოვანი დოკუმენტები, სადაც მითითებული იქნება ახალი მისამართი, საფოსტო და საკონტაქტო მონაცემები,* *ასევე, სკოლამ ვებ გვერდზე და სოციალურ პროფილზეც მნიშვნელოვანია, რომ მიუთითოს ახალი მისამართი.* *მნიშვნელოვანია ასევე, რომ გადაიხედოს ყველა დოკუმენტი და რომლებიც მისამართისა და ინფრასტრუქტურის ცვლილების ფარგლებში ექვემდებარება შეცვლას , ან კორექტირებას , უნდა მოხდეს მათი მორგება არსებულ საჭიროებებზე და შესაბამისად მოხდეს მათი თავიდან გაწერა.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ შეიმუშაოს, დაამტკიცოს და თვალსაჩინო ადგილებზე განათავსოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ახალი ფაქტობრივი შენობის შესაბამისად.*
ინდიკატორი 3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*მიზანშეწონილია, სკოლამ ბიბლიოთეკით სარგებლობის მოქმედი წესი მოარგოს ახალი შენობის ბიბლიოთეკის სპეციფიკას, სივრცეს და დღის წესრიგს რათა უზრუნველყოს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამი დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.1.	*დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა)*	***რჩევა:*** *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მათემატიკის მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ კათედრის ყველა მასწავლებელმა ისარგებლოს კათედრაზე დამტკიცებული ჩარჩოთი და ყველა კურიკულუმი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.*
ინდიკატორი N.2.1.2.1.	*დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრა (ბუნებისმეტყველება)*	***რჩევა:*** *ბუნებისმეტყველების 1-ელი კლასის კურიკულუმში დავალების იდეის გრაფაში დაკონკრეტდეს და მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას.*
ინდიკატორი N.2.1.2.2.	*დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა)*	***რჩევა:*** *(დაწყებითი საფეხურზე) სასურველია მასწავლებლებმა VI კლასის კურიკულუმში გაითვალისწინონ თემის „მონაცემი, მონაცემთა ანალიზი“ ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნების/ქვეცნების სვეტი, და მოვიდეს შესაბამისობაში თემასთან.* ***რჩევა:*** *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო) VI, IX და X კლასების კურიკულუმში სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს „კონტექსტ-მაგალითისა“ და „დავალების იდეა/პირობის“ შესაბამის სვეტებს. საჭიროა მეტი სიცხადით ჩანდეს შერჩეული კონტექსტ-მაგალითები და დავალების იდეა/პირობები.*
ინდიკატორი N.2.1.2.3.	*დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (ტექნოლოგიები)*	***რჩევა:*** *საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ყველა დამხმარე რესურსებსის ასახვა მოხდეს კურიკულუმში.*

ინდიკატორი N.2.1.2.5.	*დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა((საზოგადოებრივი მეცნიერებები)*	***რჩევა:*** *სასურველია იყოს ყველა დავალების შეფასების რუბრიკა,როგორ განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი*
ინდიკატორი N.2.1.2.5.	*დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	***რჩევა:*** *სასურველია, მსგავსი ტიპის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გამოიყენოთ მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშაოთ ახალი დავალებები და აქტივობები.*
ინდიკატორი N.2.2.1.1.	*დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა)*	***რჩევა:*** *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან ახალი თემატური ბლოკის დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. როგორც ინტერვიუდან დადასტურდა მასწავლებლებს აქვთ ამის გამოცდილება და როგორც აღნიშნეს წინა წლებში ატარებდნენ სადიაგნოსტიკო ტესტირებებს. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.*
ინდიკატორი N.2.2.1.2.	*დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრა (მათემატიკა)*	***რჩევა:*** *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური ნაწილის თანახმად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული სკოლის მისია ორიენტირებულია პოზიტიური, კონკურენტუნარიანობისა და სწავლისთვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნაზე, რათა აღზარდოს მართლმადიდებელი ქრისტიანი, ფიზიკურად, ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებული მომავალი თაობა. სკოლის ხედვა ხაზს უსვამს მოზარდში ქრისტიანული ღირებულებებისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის უნარ-ჩვევების განვითარებას, ხოლო ღირებულებები (ღვთისა და მოყვასის სიყვარული, პროფესიონალიზმი, მიუკერძოებლობა, თანაგანცდა, გუნდური მუშაობა) სრულად ასახავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების პრინციპებს. შესაბამისად,

1.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

როგორც სასკოლო კურიკულუმის („პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა სასწავლო პროცესი“) თავიდან ირკვევა, სკოლა ფუნქციონირებს არა მხოლოდ როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, არამედ როგორც სოციო-კულტურული სივრცე. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და უზრუნველყოფს პოზიტიურ სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ. კურიკულუმში დეკლარირებული პრინციპები მიმართულია მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების (კრიტიკული/შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, აქტიური მოქალაქეობა) განვითარებაზე. მოსწავლეებთან ინტერვიუში მათ აღნიშნეს, რომ აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მიერ ორგანიზებულ კულტურულ და საგანმანათლებლო

ღონისძიებებში, მათ შორის დადგეს სპექტაკლი დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებაზე, რაც ხელს უწყობს მათ პიროვნულ და სოციო-კულტურულ განვითარებას. შესაბამისად,

1.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

წარმოდგენილი დირექტორის ბრძანებით (#1/43 „მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების შესახებ“) დასტურდება, რომ სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შექმნილ სპეციალურ სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ ადმინისტრაცია, სხვადასხვა საგნობრივი კათედრის პედაგოგები, ფინანსური მენეჯერი და მშობელთა წარმომადგენელი. ჩართულობის ეს ფორმატი უზრუნველყოფს შემუშავებული დოკუმენტის მიმართ გაზიარებულ პასუხისმგებლობას. შესაბამისად,

1.1.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კონცეპტუალური კურიკულუმისა და სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმების ანალიზით დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მისიისა და ხედვის გაცნობა ხდება სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებსა და საინფორმაციო შეხვედრებზე, ხოლო პედაგოგებისთვის ხელმისაწვდომია საერთო სასკოლო ელექტრონულ სივრცეში. სასკოლო საზოგადოების წევრების მხრიდან უკუკავშირის შეგროვება და წინადადებების გათვალისწინება უზრუნველყოფს გაზიარებულ ხედვას სკოლის ფილოსოფიის შესახებ. მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს ყველა რესპონდენტმა გამოხატა სრული მხარდაჭერა და გაზიარება სკოლის მისიისა და ქრისტიანული ღირებულებების მიმართ. შესაბამისად,

1.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

. ხელმისაწვდომი ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დათვალიერებისას დადგინდა, რომ ახალ შენობაში გადასვლის გამო, მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი საინფორმაციო დაფაზე ჯერ განთავსებული არ იყო. თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ელექტრონულად, სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა (www.samreklo.ge) და სოციალურ ქსელში (Facebook გვერდი), რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის წვდომას.

რჩევა : მიზანშეწონილია, სკოლამ ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით უზრუნველყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების თვალსაჩინო ადგილზე (საინფორმაციო დაფაზე) დროული განთავსება საზოგადოების მეტი ინფორმირებულობისთვის.

შესაბამისად,

1.1.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერიდან (განაცხადის რეგისტრაციის თარიღით: 20/06/2024) დგინდება, რომ სკოლის სრული საფირმო სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა (საიდენტიფიკაციო კოდი: 443854189). აღნიშნული სახელწოდება სრულად შეესაბამება მის სამართლებრივ სტატუსს (ააიპ) და პასუხობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინოლოგიას. შესაბამისად,

1.1.1.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;*
2. *სკოლის დირექტორის ბრძანება N1/43 „მისიის, ხედვისა და ღირებულებების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;*
3. *პედაგოგიურ საბჭოზე დამტკიცებული სკოლის სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი (ოქმი N1, 01/09/2025);*
4. *სკოლის ოფიციალური ვებგვერდი (www.samreklo.ge) და Facebook გვერდი;*
5. *მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ (დამტკიცებული დირექტორის **ბრძანებით N1/40,** 10/07/2024) თანახმად, სკოლას გააჩნია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის მიზანია განსაზღვროს სტრატეგიული (7-წლიანი) და სამოქმედო (1-წლიანი) გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მიდგომებიდა სამუშაო პროცესები. მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და ეფუძნება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის მოადგილე, რომელიც ხელმძღვანელობს დირექტორის მიერ შექმნილ სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფს.
სკოლის მიერ ადგილმდებარეობისა და მისამართის შეცვლამ მნიშვნელოვნად მოახდინა გავლენა სკოლაში არსებულ დოკუმენტბრუნვის ძველ ფორმებზე. მნუშვნელოვანია, რომ სკოლამ აღნიშნული ცვლილება ასახოს სრულად ყველა დოკუმენტში , რათა არ მოხდეს სასწავლო პროცესების შეფერხების მიზეზი არასწორად განსაზღვრული საკომუნიკაციო და სტრატეგიული დოკუმენტების ბრუნვა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა ***რჩევა:***
მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ შეიმუშაოს ახალი ტიტულოვანი დოკუმენტები, სადაც მითითებული იქნება ახალი მისამართი, საფოსტო და საკონტაქტო მონაცემები,
ასევე, სკოლამ ვებ გვერდზე და სოციალურ პროფილზეც მნიშვნელოვანია, რომ მიუთითოს ახალი მისამართი.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ გადაიხედოს ყველა დოკუმენტი და რომლებიც მისამართისა და ინფრასტრუქტურის ცვლილების ფარგლებში ექვემდებარება შეცვლას , ან კორექტირებას , უნდა მოხდეს მათი მორგება არსებულ საჭიროებებზე და შესაბამისად მოხდეს მათი თავიდან გაწერა.

1.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2021 წელს და მოიცავს 2021-2027 სასწავლო წლებს. რაც გულისხმობს, რომ სკოლას სტრატეგიული გეგმა გაწერილი აქვს 6 წელზე (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #1/42) ანალიზით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან და მოიცავს შიდა და გარე გარემოს ანალიზს (SWOT ანალიზის დოკუმენტი). სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებულია მისიასთან თავსებადი გრძელვადიანი მიზნები და მათ მისაღწევად დასახული კონკრეტული ამოცანები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობების სისტემურ დაგეგმვას. ვინაიდან სკოლა წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს (ააიპ), სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - სკოლის დირექტორის ბრძანებით, თუმცა, დოკუმენტის შესწავლისას გამოიკვეთა ტექნიკური ხასიათის უზუსტობა: კერძოდ, დოკუმენტის სათაურში გაცხადებულია, რომ იგი არის 7-წლიანი, ხოლო მითითებული პერიოდი მოიცავს 2021-2027 წლებს (რაც მათემატიკური თვალსაზრისით წარმოადგენს 6-წლიან შუალედს და არა 7-წლიანს). აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის მოქმედების ვადა 2027 წლამდეა. გასათვალისწინებელია ისიც რომ, სკოლას ძველი სტრატეგიული გეგმით განსაზღრული მიზნების და ამოცანების უმეტესი ნაწილი შესრულებული აქვს, ასევე, სკოლამ შეიცვალა მისამართი და სასწავლო კორპუსი, რამაც სკოლას მნიშვნელოვანი ცვლილებები და შესაძლებლობები შემოიტანა ახალი სასწავლო პროცესისთვის. აქედან გამომდინარე, სკოლის მიმართ გამოვლინდა ხარვეზი , რაც მოიცავდა შემდეგს: *სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა არ იყო შვიდწლიანი. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით გაიზიარა ექსპერტთა მხრიდან მიცემული რჩევები და რეკომენდაციები, რის შემდგომაც აღნიშნული საკითხის მოგვარების ვადად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა: 30.09.2026 წელი. აქედან გამომდინარე, სკოლას მიეცა* ***რეკომენდაცია:*** *შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადამდე(30.09.2026-მდე) უზრუნველყოს სკოლის განვითარების ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება. აღნიშნული გეგმა უნდა იყოს ციკლური, გამომდინარეობდეს სკოლის რეალური საჭიროებებიდან და ეფუძვნებოდეს სკოლის ფილოსოფიას.ასევე, ის უნდა შეიცავდეს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.*

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სტრატეგიული გეგმით, სკოლას ძირითად შესასრულებელ ამოცანებად განსაზღვრული ჰქონდა ინფრასტრუქტურული საკითხები. აღნიშნული საჭიროებები სკოლას აღარ აქვს, რადგან ახალი სასწავლო კორპუსი სრულად აკმაყოფილებს ყველა საჭირო სტანდარტს და იძლევა მაქსიმალურ შესაძლებლობებს სასწავლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

სკოლას სტრატეგიული გეგმის ნომერ პირველ მიზნად გაწერილი აქვს სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, ლაბორატორიების მოწყობა, უსაფრთხოების სისტემების გაძლიერება(სახანძრო უსაფრთხოება და ვიდეოსათვალთავალო სისტემები), სკოლის ინტერნეტით სრულად აღჭურვა, ბიბლიოთეკის მოწესრიგება. სკოლის ახალ კორპუსში გადასვლით აღნიშნული საკითხები აღარ საჭიროებს მოწესრიგებას, რადგან ახალ კორპუსში ყველა საჭირო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი.

რჩევა: *სკოლამ ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ გაითვალისწინოს ძველი სტრატეგიული გეგმით გაწერილი მიზნებისა და ამოცანების შესრულების მონიტორინგის შედეგები. სასურველია რომელიც სრულად უნდა მოარგოს ახალ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურასა და გარემო პირობებს.*

1.2.1.2 ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის „1-წლიანი სამოქმედო გეგმის (2025-2026 სასწავლო წელი)“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #1/6, 01/09/2025) თანახმად, სკოლაში მოქმედებს ერთ სასწავლო წელზე გათვლილი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. სამოქმედო გეგმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს, კერძოდ: კურიკულუმების რეალიზაციის ანალიზს, მოსწავლეთა მიღწევებსა და საგნობრივი კათედრების ანგარიშებს. დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით, რაც სრულ შესაბამისობაშია სკოლის მართვის სტრუქტურასთან. შესაბამისად,

1.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

რეალისტურია სკოლის „1-წლიანი სამოქმედო გეგმის (2025-2026 სასწავლო წელი)“ დეტალური შესწავლით დგინდება, რომ მასში გაწერილია კონკრეტული აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და მტკიცებულებები (ოქმები, ანგარიშები, რეესტრები). თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია რეალისტური ვადები (თვეების მიხედვით განაწილებით), პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია და გამომდინარეობს სკოლის ბიუჯეტიდან. თუმცა, დოკუმენტს აქვს ნაწილობრივ შაბლონური ხასიათი და საჭიროებს წინა წლის თვითშეფასებასთან უფრო ღრმა ინტეგრაციას. შესაბამისად,

1.2.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი*
2. *სკოლის დირექტორის ბრძანება #1/40, 10/07/2024);*
3. *7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021-2027 წლები)*
4. *სკოლის დირექტორის ბრძანება #1/42);*
5. *1-წლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წლისთვის*
6. *სკოლის დირექტორის ბრძანება #1/6, 01/09/2025);*
7. *სკოლის SWOT ანალიზის დოკუმენტი.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ თანახმად, მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების კონკრეტულ მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს. განსაზღვრულია მონიტორინგის განხორციელების პროცედურები და პერიოდულობა, რომლის მიხედვით მონიტორინგი ტარდება წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის ბოლოს (ივნისში), რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების შესრულების შეფასებასა და შემდგომი დაგეგმვის პროცესში შედეგების გამოყენებას. შესაბამისად,

1.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების“ მონიტორინგის პრაქტიკით დგინდება, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი. მონიტორინგის პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) უკუკავშირი, რაც გროვდება კვლევის კითხვარების ანალიზით. მონიტორინგის შედეგები დეტალურად განიხილება საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, რის საფუძველზეც იგეგმება შესაბამისი ცვლილებები და კორექტირებები. შესაბამისად,

1.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის საინფორმაციო დაფისა და ოფიციალური ვებგვერდის (www.samreklo.ge) მონიტორინგით დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმების განხორციელების ანგარიშები ქვეყნდება საჯაროდ, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირების წინაშე. გარდა ამისა, აღნიშნული შედეგები ასახულია პედაგოგიური საბჭოს ოქმებში. შესაბამისად,

1.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

„ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშის“ ანალიზით დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად იყენებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს შემდგომი განვითარების დაგეგმვის პროცესში. მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის

კითხვარებიდან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება, პრიორიტეტების გადახედვა და მომდევნო პერიოდის გეგმების დახვეწა. მონიტორინგის საფუძველზე ასევე განხორციელდა მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართვა შეფასების პროცესში, რაც უზრუნველყოფს განვითარების პროცესის უწყვეტობას. შესაბამისად,

1.2.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი.*
2. *დირექტორის ბრძანება #1/40, 10/07/2024;*
3. *სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;*
4. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;*
5. *კვლევის კითხვარები (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი);*
6. *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები (კერძოდ, ოქმი N1, 01/09/2025 და მონიტორინგის ამსახველი ოქმები);*
7. *სკოლის ოფიციალური ვებგვერდი (www.samreklo.ge).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

განსაზღვრული სკოლის „სტრუქტურული ერთეულების, პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტის“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #1/78, 01/12/2024), შინაგანაწესისა (ბრძანება #1/18) და თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს ორგანიზაციული სტრუქტურა, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. კერძოდ, სკოლაში საქმიანობას ეწევა: დირექცია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი); ადმინისტრაციული პერსონალი (სამეურნეო მენეჯერი, საინფორმაციო მენეჯერი, საფინანსო მენეჯერი), პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და ტექნიკური პერსონალი (დამლაგებელი, კარის კაცი/დარაჯი). თითოეული თანამდებობის პირის უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი მათ ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებსა და თანამდებობრივ ინსტრუქციებში, რაც უზრუნველყოფს ფუნქციათა ურთიერთთანხვედრას. შესაბამისად,

3.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის ორგანოგრამისა და სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმებისა და სხდომების ოქმების შესწავლით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება უზრუნველყოფს კოორდინირებულ და შეუფერხებელ საგანმანათლებლო საქმიანობას. სკოლის ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობა, კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს აქტიური თანამშრომლობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვას. შესაბამისად,

3.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სტრუქტურული ერთეულების, პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება #1/78, 01/12/2024);*
2. *სკოლის ორგანოგრამა;*
3. *თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;*
4. *სკოლის შინაგანაწესი (დირექტორის ბრძანება #1/18, 11/11/2025);*

5. სტრუქტურული ერთეულების (პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მრჩეველთა საბჭო) სამოქმედო გეგმები და სხდომების ოქმები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #1/52, 21/01/2024) და სკოლის შინაგანაწესის (ბრძანება #1/18) საფუძველზე პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ (მინისტრის N174/ნ ბრძანება) და სკოლის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს ეფექტიან ადმინისტრირებას, რაც ხელს უწყობს დასაქმებულთა პროფესიული შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას. შესაბამისად,

3.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და შინაგანაწესის შესაბამისად, სკოლაში დანერგილია პერსონალის მართვის პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს საჭიროებებზე რეაგირებას (ინტერვენციას) და პრევენციულ მექანიზმებს. კერძოდ, მასწავლებლის დროებითი არყოფნის შემთხვევაში უზრუნველყოფილია საათების ოპერატიული გადანაწილება შესაბამისი კათედრის სხვა პედაგოგებზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობისას ფორმდება ხელშეკრულება შემცვლელ მასწავლებელთან, რაც უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის უწყვეტობას. შესაბამისად,

2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის „კონკურსის ჩატარების წესის“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #1/38, 10/07/2024) თანახმად, მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსი ტარდება გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით. ვაკანსიები ქვეყნდება teacherjobs.ge-ზე, ხოლო შერჩევას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია (3-დან 5 წევრამდე).

პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ წარმოდგენილია ნასამართლეობის შესახებ ცნობები, ასევე ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის უფლების ჩამორთმევის შესახებ და ნარკოლოგიური შემოწმების ცნობები, რაც სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შესაბამისად,

3.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის „კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტისა და პერსონალის პირადი საქმეების ანალიზით დგინდება, რომ დასაქმებული პედაგოგები ფლობენ შესაბამის პროფესიულ სტატუსებს (უფროსი, წამყვანი) და კვალიფიკაციას. სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად სკოლაში დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი (ექიმის დანიშვნის ბრძანება #1/16, 2025), რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას. შესაბამისად,

3.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის ორგანიზაციული კულტურის საფუძველია გუნდურობა და თანამშრომლობა. სტრუქტურული ერთეულების (პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მრჩეველთა საბჭო) სხდომების ოქმებიდან ირკვევა, რომ გადაწყვეტილებების მიღება ხდება კოლეგიურად, სასკოლო კურიკულუმებისა და წლიური გეგმების შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობენ მასწავლებლები და ადმინისტრაცია, რაც ხელს უწყობს საერთო პასუხისმგებლობის გადანაწილებას. შესაბამისად,

3.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

საგნობრივი კათედრების შეხვედრებისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული პრაქტიკის გაზიარება ურთიერთდასწრებების, ინტეგრირებული გაკვეთილებისა და გამოცდილების გაზიარების სემინარების მეშვეობით. წარმატებული მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიღწევების აღიარება ხდება საჯაროდ, სკოლის

ოფიციალურ Facebook-გვერდზე ინფორმაციის განთავსებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ფორმების (მადლობა, სიგელი) გამოყენებით. შესაბამისად,

3.1.2.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება #1/52, 21/01/2024);*
2. *სკოლის შინაგანაწესი (დირექტორის ბრძანება #1/18, 11/11/2025);*
3. *კონკურსის ჩატარების წესი (დირექტორის ბრძანება #1/38, 10/07/2024);*
4. *მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების დოკუმენტები და საკონკურსო კომისიის ოქმები;*
5. *პერსონალის პირადი საქმეები (მათ შორის, ნასამართლეობის, ნარკოლოგიური და უფლების ჩამორთმევის ცნობები);*
6. *კათედრების შეხვედრის ოქმები;*
7. *სკოლის Facebook გვერდი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #1/52, 21/01/2024) და სკოლის შინაგანაწესის (ბრძანება #1/18) ანალიზით დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი და პროცედურები, რომლებიც მიზნად ისახავს დასაქმებულთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას. სკოლაში შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“, რომელიც პედაგოგებს ეხმარება პროფესიული საჭიროებების გამოკვეთასა და შემდგომი განვითარების გზების დაგეგმვაში. პროცესი ასევე ეყრდნობა კათედრების შეხვედრებზე მიღებულ უკუკავშირს, საგაკვეთილო დაკვირვებებსა და პედაგოგთა თვითშეფასების ანალიზს. შესაბამისად,

3.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

რესურსების მართვის პოლიტიკისა და კათედრების მუშაობის პრაქტიკით დასტურდება, რომ სკოლა გეგმავს და ახორციელებს პედაგოგთა პროფესიული მხარდაჭერის აქტივობებს (ურთიერთდასწრებები, გამოცდილების გაზიარების სემინარები, ტრენინგები). თუმცა, სკოლის წარმოდგენილი მასალების შესწავლით დგინდება, რომ პერსონალის პროფესიული საჭიროებების სისტემური კვლევა და ყველა კატეგორიის თანამშრომლის (როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის) მხარდაჭერის ერთიანი გეგმის შემუშავება ამ ეტაპზე დაგეგმვის ფაზაშია და საჭიროებს სრულყოფას. შესაბამისად,

3.2.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის პერსონალის მართვის პრაქტიკით დგინდება, რომ დაწესებულება აქტიურად უჭერს მხარს თანამშრომელთა პროფესიულ წინსვლასა და სტატუსის ამაღლებას. სკოლაში დასაქმებულია სულ 37 პედაგოგი, საიდანაც 3 არის წამყვანი, 27 უფროსი, ხოლო 7 — მაძიებელი მასწავლებელი. მაძიებელი მასწავლებლების მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დირექტორის ბრძანებით დანიშნულები არიან შესაბამისი ტუტორები. ტუტორები და სკოლის დირექცია აქტიურად უწევენ რეკომენდაციასა და კონსულტაციას მაძიებელ პედაგოგებს საგაკვეთილო გეგმების მომზადებისას, ესწრებიან გაკვეთილებს, აწარმოებენ მონიტორინგსა და მხარდაჭერას და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს მათ უწყვეტ პროფესიულ ზრდასა და სტატუსის ამაღლებას. შესაბამისად,

3.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის“ თანახმად, ახალი კადრების სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით შემუშავებულია სპეციალური მექანიზმები. ახალ თანამშრომლებს სკოლის დირექცია აცნობს სასკოლო სივრცეს, შინაგანაწესსა და ორგანიზაციულ სტრუქტურას, ხოლო შესაბამისი საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მათ გაცნობას სასკოლო კურიკულუმებთან, სასწავლო მიზნებთან და შეფასების სისტემასთან, რაც ხელს უწყობს ახალი კადრების სწრაფ და ეფექტიან ჩართვას სასწავლო პროცესში. შესაბამისად,

3.2.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში არსებული პრაქტიკით დგინდება, რომ ადმინისტრაცია მხარს უჭერს პედაგოგებისა და კათედრების მხრიდან წამოსულ ინიციატივებს (საგანმანათლებლო პროექტები, შემოქმედებითი ღონისძიებები, კლუბების მუშაობა). მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიღწევებისა და წარმატებული ინიციატივების აღიარებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა ინფორმაციას სისტემატურად ათავსებს ოფიციალურ Facebook-გვერდზე, ასევე იყენებს შინაგანაწესით გათვალისწინებულ წახალისების ფორმებს (მადლობის გამოცხადება, სიგელები). შესაბამისად,

3.2.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება #1/52, 21/01/2024);*
2. *სკოლის შინაგანაწესი (დირექტორის ბრძანება #1/18, 11/11/2025);*
3. *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;*
4. *მაძიებელი მასწავლებლის მხარდაჭერის ამსახველი დოკუმენტაცია (ტუტორის დანიშვნის ბრძანება, ოქმები, უკუკავშირის ბარათები);*
5. *საგნობრივი კათედრების შეხვედრის ოქმები;*
6. *სკოლის ოფიციალური Facebook გვერდი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #1/29, 01/09/2024) თანახმად, საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა სრულად ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს – PDCA („დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“). ეს მიდგომა უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრების ყველა სფეროს უწყვეტ მონიტორინგს, ხარისხის მუდმივ კონტროლსა და სკოლის მისიით გაცხადებული მიზნების თანმიმდევრულ მიღწევას. შესაბამისად,

3.3.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის „მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალისა და მათი აღმწერების“ დოკუმენტის (დოკუმენტი 005), სტრატეგიული გეგმისა და შინაგანაწესის (ბრძანება #1/18) ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში იდენტიფიცირებული და მკაფიოდ არის აღწერილი ყველა ძირითადი (სწავლება-სწავლა, კურიკულუმების შემუშავება), მმართველობითი (დაგეგმვა, ხარისხის მართვა) და დამხმარე (საქმისწარმოება, ფინანსები, IT მხარდაჭერა) პროცესი, რაც ხელს უწყობს დაწესებულების ორგანიზებულ ფუნქციონირებას. შესაბამისად,

3.3.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესით (ბრძანება #1/18) და „საჩივრებისა და განცხადებების განხილვის წესით“ განსაზღვრულია გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მხრიდან საჩივრების წარდგენის ფორმატს, განხილვის ვადებსა და რეაგირების მექანიზმებს. საჩივრების განხილვის პროცესს კოორდინაციას უწევს დისციპლინური კომიტეტი და სკოლის დირექცია შიდა მარეგულირებელი წესების სრული დაცვით. შესაბამისად,

3.3.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

მექანიზმები სკოლის „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის-კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტის“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #1/54, 01/09/2024) და შინაგანაწესის თანახმად, გარანტირებულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. სკოლაში მოქმედი შიდა რეგულაციები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და ზოგადი განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან. შესაბამისად,

3.3.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება #1/29, 01/09/2024);*
2. *მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები (დოკუმენტი 005);*
3. *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის-კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება #1/54, 01/09/2024);*
4. *სკოლის შინაგანაწესი (დირექტორის ბრძანება #1/18, 11/11/2025);*
5. *საჩივრებისა და განცხადებების განხილვის წესი.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის „სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხისა და სკოლის კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგიის დოკუმენტისა“ და კვლევის კითხვარების ანალიზით დგინდება, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სხვადასხვა საინფორმაციო არხს (ოფიციალური ვებგვერდი www.samreklo.ge, Facebook-გვერდი, Teams, SchoolBook) სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მისაღებად. მშობლების, მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის პერიოდულად ტარდება კმაყოფილების კვლევები და გამოკითხვები, რომელთა შედეგებიც გამოიყენება მართვის პროცესების გასაუმჯობესებლად. მშობლებთან ინტერვიუში მათ აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ ონლაინ ჯგუფებსა და Teams/SchoolBook პლატფორმებს, ესწრებიან მშობელთა კრებებს და მათ მიერ მოწოდებული აზრები და იდეები განიხილება სკოლის დირექციის მიერ. შესაბამისად,

3.3.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის კოლეგიური ორგანოების ოქმებისა და მუშაობის პრაქტიკის ანალიზით დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა მრჩეველთა საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობაში. თუმცა, მიღებული უკუკავშირის სისტემური ანალიზი და მისი ასახვა კოლეგიური ორგანოების გადაწყვეტილებებში საჭიროებს უფრო მეტად გააქტიურებასა და ფორმალიზებას, რათა დაინტერესებულ მხარეთა აზრი მაქსიმალურად იყოს ინტეგრირებული ყოველდღიურ მმართველობაში. შესაბამისად,

3.3.2 .2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხისა და სკოლის კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*
2. *სასკოლო საზოგადოების კვლევის კითხვარები (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი) და კვლევის შედეგები;*
3. *მრჩეველთა საბჭოს დებულება და სხდომის ოქმები;*
4. *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;*
5. *სკოლის ოფიციალური ვებგვერდი (www.samreklo.ge) და სოციალური ქსელი (Facebook გვერდი);*

6. მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ფაქტობრივი მისამართისა და ინფრასტრუქტურის შემოწმებით დასტურდება, რომ სკოლა ფუნქციონირებს ქ. ხაშურში, კოლეჯ „ქართლის“ შენობაში, სადაც ფიზიკური გარემო სრულად მოწესრიგებულია და უსაფრთხოა. ვინაიდან შენობა წარმოადგენს პროფესიულ კოლეჯს, დაწესებულებას გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა. სკოლას გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო პირველადი ინვენტარი და სისტემა რომლებიც შემოწმებულია და მოქმედების ვადები არ არის გასული. კოლეჯის მისამართზე სკოლას აქვს შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისი დასკვნა.

ასევე, სკოლის გარე და შიდა პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო მონიტორინგის სისტემით, რომელსაც მეთვალყურეობას უწევს კოლეჯის დაცვის სამსახური. აღნიშნულ სამსახურთან სკოლა აპირებს თანამშრომლობაზე შეთანხმებას და თავისი უსაფრთხოების სისტემის მეტად გაძლიერებას და გაფართოებას. თუმცა, ვინაიდან სკოლა ახალი გადასულია აღნიშნულ შენობაში, მას არ გააჩნია უშუალოდ კოლეჯ „ქართლის“ შენობაზე მორგებული და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვისა და საევაკუაციო გეგმა. აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა ძველ მისამართზე შემუშავებული და შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას მიეცა **რჩევა**, *მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ შეიმუშაოს, დაამტკიცოს და თვალსაჩინო ადგილებზე განათავსოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ახალი ფაქტობრივი შენობის შესაბამისად.* ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფიზიკური უსაფრთხოების მექანიზმები სკოლაში ძირითადად დანერგილია.

3.4.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექიმი, სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება №1/16, 2025 წ.) სამედიცინო კაბინეტში დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რომლის ვალდებულებაა პირველადი დახმარების აღმოჩენა. გადაუდებელ შემთხვევაში, იძახებს გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ბრიგადას (112-ში დარეკვით).სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. აგრეთვე, ექიმის ხელშეკრულებით, ფუნქციების აღმწერი დოკუმენტითა და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით გაწერილია სკოლის ექიმის უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები. დოკუმენტში განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები სხვადასხვა სიტუაციებში.

3.4.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესის დოკუმენტი. ასევე სკოლაში წესრიგის დაცვის მიზნით დასაქმებულია ორი თანამშრომელი შვეიცარის სტატუსით. აღნიშნული თანამშრომლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა შეხვედრას და კლასებში განაწილებას საგაკვეთილო პროცესის დაწყებისას, ხოლო დასტულრბის

მერე ისინი ვალდებულები არიან მოსწავლეები მიაცილონ შესაბამის სატრანსპორტო საშუალებასთან რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილება.

სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი დარაჯი/უსაფრთხოების პერსონალი, რომელიც ახორციელებს მორიგეობას და აკონტროლებს სკოლის პერიმეტრსა და შენობაში გარეშე პირთა შესვლა-გამოსვლას (სარეგისტრაციო ჟურნალის მეშვეობით).

შენობაში დამონტაჟებულია ვიდეომონიტორინგის სისტემა, რომელიც ამ ეტაპზე ფიზიკურად კოლეჯის ადმინისტრირების ქვეშაა, თუმცა სკოლას აქვს წვდომა და მიმდინარეობს მუშაობა სკოლის მხრიდან მისი უშუალო ადმინისტრირებისთვის. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა სკოლაში სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით სკოლის დირექციამ გამოთქვა სურვილი, მომდევნო სასწავლო წლიდან 2026-2027 წლები,კოლეჯ „ქართლში“ არსებულ დაცვის სამსახურთან თანამშრომლობით უზრუნველყონ არსებული წესრიგის დაცვის სისტემის კიდევ უფრო გაძლიერება და გაფართოვება. სკოლაში წესრიგის დაცვაზე ასევე ვალდებულება აქვთ გადანაწილებული დამრიკებლებსა და მორიგე მასწავლებლებსაც.

3.4.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში აქტიურად ზრუნავს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. სკოლაში რეგულარულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან, რომლებიც მიმართულია ძალადობისა და ბულინგის პრევენციაზე. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხო გარემოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საჭიროებებს და შეიმუშავებს შესაბამის ინიციატივებს. მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ ისინი თავს ემოციურად და ფსიქოლოგიულად დაცულად გრძნობენ.

3.4.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში 2025 წლის 1 სექტემბრიდან ხელშეკრულებით დასაქმებულია იგი ახორციელებს შიდა და გარე სივრცეების ყოველდღიურ დასუფთავებას წინასწარ გაწერილი გრაფიკის შესაბამისად. სველი წერტილები ფუნქციონირებს გამართულად, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფილია ჰიგიენური საშუალებებით (საპონი,

ქაღალდი, ნარჩენების ურნები). სადეზინფექციო და ქიმიური საშუალებები ინახება უსაფრთხოდ, ჩაკეტილ სათავსოში. სანიტარულ-ჰიგიენური პირობები სკოლაში სრულად არის დაცული.

3.4.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეფექტიანი მექანიზმები. სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება №1/23, 2025 წ.) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად დანიშნულია პირი და დამტკიცებულია მისი სამუშაო აღწერილობა

და ანგარიშვალდებულების წესი. დაწესებულებას გააჩნია პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის წესი, რომელიც არეგულირებს მონაცემთა შენახვისა და დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს. პერსონალური მონაცემების დაცვა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

3.4.1.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ელექტრონული და ფიზიკური ინფორმაცია მოსწავლეების, მშობლებისა და პერსონალის შესახებ. დაწესებულება იყენებს docs.schoolbook.ge-ის პლატფორმასა და eschool.emis.ge-ის ბაზას, რომელთა წვდომაც დაცულია ინდივიდუალური პაროლებითა და ავტორიზაციის მექანიზმებით. ფიზიკური დოკუმენტები და პირადი საქმეები ინახება სპეციალურ კარადებში, სადაც წვდომა შეზღუდულია უფლებამოსილი პირების გარდა. სკოლა იყენებს ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ინტერნეტს, რაც გამორიცხავს მონაცემთა არაავტორიზებულ გაჟონვას. შესაბამისად,

3.4.1.7 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

3.4.1.8 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანება №1/16 (2025 წ.) ექიმად დანიშვნის შესახებ;

2. სკოლის დირექტორის ბრძანება №1/23 (2025 წ.) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად დანიშვნის შესახებ;

3. დამლაგებელ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება (დათარიღებული 2025 წლის 1 სექტემბრით);

4. სკოლის „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი“;

5. სკოლის „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“;

6. სსიპ კოლეჯ „ქართლის“ შენობის ვიზუალური დათვალიერება (ახალი ფაქტობრივი მისამართი);

7. სამედიცინო კაბინეტისა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის (ცეცხლმაქრების) ადგილზე დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

როგორც დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, 2026-2027 სასწავლო წლიდან ააიპ დიმიტრი ყიფიანის სახელობის ქალაქ ხაშურის კერძო სკოლა სწავლას განაახლებს კოლეჯ "ქართლის" შენობაში. აღნიშნულ შენობასთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან მოთხოვნილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლითაც კერძო სკოლა დაადასტურებდა სასწავლო გარემოს უსაფრთხოებისა და ინფრასტრუქტურული დეტალების სრულად შესაბამისობას სტანდარტებთან. რადგან ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლა ახალი გადასული იყო კოლეჯ „ქართლის „ შენობაში, ჯერ კიდევ პროცესში იყო იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დეტალების განხილვა. რის გამოც სკოლამ ვერ წარმოადგინა სავალდებულო მინიმუმ 9 წლიანი იჯარის ხელშეკრულება. აღნიშნული საკითხის გამო სკოლისთვის ექსპერტთა მხრიდან გაეწერა **ხარვეზი** მასთან დაკავშირებით, რომ *სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება , რის გამოც ვერ უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.*

სკოლის მხრიდან არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისა და შესაბამისობის გეგმის წარმოდგენით სკოლამ აღნიშნული საკითხის მოგვარებისთვის დრო განსაზღრა 2026 წლის 15 სექტემბრამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გაწერილ პერიოდამდე (15.09.2026-მდე) უზრუნველყოს სსიპ კოლეჯ „ქართლი"-სთან სკოლის ფართის განკარგვასთან დაკავშირებული ხელშეკრულების გაფორმება, რათა უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

სხვამხრივ, სკოლის ახალი სასწავლო კორპუსი სრულად შეესაბამება ყველა საჭირო სტანდარტის მოთხოვნას და სრულ შესაძლებლობას აძლევს სასკოლო საზოგადოებას, რომ ავტორიზაციის ვადით განსაზღვრულ პერიოდში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში მაქსიმალურად უზრუნველყოს დაწესებულების მისიითა და მიზნებით განსაზღვრული საჭიროებების მიღწევა. სასწავლო კორპუსის დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები. სკოლის შენობა არის სამსართულიანი. სკოლას აქვს 21 ფინანსური კლასი და შესაბამისი 21 საკლასო ოთახი. ასევე, შენობაში არის სივრცეები ბიბლიოთეკის ოთახისთვის, ლაბორატორიებისთვის. არის სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი, ბუფეტის ოთახი, საგამოფენო სივრცეები, რესურს-ოთახი, სააქტო და საკონფერენციო დარბაზები. სართულებზე გადაადგილება შესაძლებელია ორი ლიფტით.

3.5.1.1 ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო საგნებისთვის ინდივიდუალურად განკუთვნილი ოთახები, ბუფეტი, საკონფერენციო დარბაზი 150 პერსონაზე, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი. ასევე, შესაბამისი ფართი სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახის მოსაწყობად , სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის.

3.5.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც მორგებული იყო ძველ შენობაში არსებულ ინფრასტრუქტურასა და დღის წესრიგს. სკოლაში მისამართისა და დაწესებულების ფართის ცვლილების გამო ვიზიტის პერიოდში ინვენტარი, და მათ შორის წიგნადი ფონდიც, ჯერ კიდევ სრულად არ იყო გადათანილი ახალ შენობაში. მიმდინარეობდა ინვენტარის გადატანის პროცესი. აქედან გამომდინარე, სკოლას მიეცა **რჩევა**: *მიზანშეწონილია, სკოლამ ბიბლიოთეკით სარგებლობის მოქმედი წესი მოარგოს ახალი შენობის ბიბლიოთეკის სპეციფიკას, სივრცეს და დღის წესრიგს, რათა უზრუნველყოს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.*

3.5.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის გარემო სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. შენობის ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ კოლეჯ „ქართლის“ შენობაში არსებული ფიზიკური გარემო სრულად ადაპტირებულია შშმ და სსსმ პირებისთვის (არსებობს შესაბამისი პანდუსები, სველი წერტილები და ლიფტები). კოლეჯს გააჩნია შშმ პირთა გარემოსთან ადაპტაციის სრულყოფილი გეგმა, რომელიც სრულად ერგება სკოლის საჭიროებებსა და სასწავლო პროცესის სპეციფიკას. შენობაში სართულებზე გადაადგილება ხდება როგორც კიბის უჯრედის დახმარებით, ასევე ორი ლიფტით. საპირფარეშოები ყველა სართულზე ადაპტირებულია. ასევე ადაპტირებულია შენობაში შესასვლელიც. შესაბამისად,

3.5.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლა ფუნქციონირებს საჯარო პროფესიული კოლეჯის „ქართლის“ შენობაში, სადაც ინფრასტრუქტურა სრულად გამართული, მოწესრიგებული და უახლესი სტანდარტების შესაბამისია. სკოლას კოლეჯთან გაფორმებული აქვს უძრავი ქონების სარგებლობის შესაბამისი სამართლებრივი ხელშეკრულება/წერილი, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო სივრცეების გამოყენებას დღის პირველ ნახევარში. სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი მორგებულია სკოლის ძველ შენობას და საჭიროებს ადაპტაციას ახალ სივრცესთან. შესაბამისად,

3.5.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სსიპ კოლეჯ „ქართლის“ შენობის ვიზუალური დათვალიერება;*
3. *სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
4. *შშმ პირთა გარემოსთან ადაპტაციის სამოქმედო გეგმა;*
5. *სკოლის დეზინფექციისა და ინვენტარიზაციის აქტები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

წარმართვას სკოლის მატერიალურ-ტექნიკური აღწერილობითა და ლაბორატორიის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლას გააჩნია სრულყოფილი IT ინფრასტრუქტურა. სკოლის სარგებლობაშია 24 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა (7 დესკტოპი, 17 ლეპტოპი და 2 პროექტორი). აქედან, კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 6 დესკტოპი და 12 ლეპტოპი, ხოლო ადმინისტრაციის სარგებლობაშია 6 ლეპტოპი და 3 პრინტერი. შენობა სრულად უზრუნველყოფილია მაღალსიჩქარიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტითა და WiFi ქსელით. შესაბამისად,

3.6.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

კომპიუტერული ლაბორატორიისა და ბიბლიოთეკის დათვალიერებით დასტურდება, რომ ტექნიკა სრულად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და აკადემიური პერსონალისთვის სარგებლობის წესით განსაზღვრულ საათებში. სასწავლო პროცესში პედაგოგები და მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებსა და პლატფორმებს (LearningApps, GeoGebra, Padlet, BookCreator და სხვა). ახალი ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს მისცემთ მათ. შესაბამისად,

3.6.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის დებულება და წესი;*
2. *კომპიუტერული ტექნიკის ინვენტარიზაციის დოკუმენტი და აღწერილობა;*
4. *კომპიუტერული ლაბორატორიის ვიზუალური დათვალიერება.*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

წესი სკოლის „საქმისწარმოების წესის“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #1/40, 01/09/2024) შესწავლით დასტურდება, რომ სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული არქივის მოთხოვნების სრული დაცვით. დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციის, გაფორმების, გაგზავნისა და შენახვა-არქივაციის პროცედურებს, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულობასა და სისტემურობას. შესაბამისად,
3.6.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის ყოველდღიური მუშაობის პრაქტიკით დასტურდება, რომ მართვისა და ადმინისტრირების პროცესებში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლაში დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პლატფორმა docs.schoolbook.ge, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს შიდა დოკუმენტბრუნვასა და კომუნიკაციას. გარდა ამისა, გარე უწყებებთან (სამინისტრო, მარეგულირებლები) ოფიციალური დოკუმენტების გაცვლისთვის გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა და ნაწილობრივ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული სისტემა eflow.emis.ge. ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემების მუშაობა და ბაზების წვდომა, რაც სრულად ფუნქციურია. შესაბამისად,
3.6.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მონაცემებითა და ადგილზე განხორციელებული შემოწმებით დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს სრულყოფილი და მოწესრიგებული პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (eschool.emis.ge). აღნიშნულ ბაზაში დროულად და სრულად არის ასახული ინფორმაცია მოსწავლეთა კონტინგენტის, მათი მობილობის, აკადემიური პერსონალის, საგნობრივი დატვირთვისა და სკოლის სტრუქტურის შესახებ. ექსპერტების მიერ ადგილზე შემოწმდა eschool-ის მონაცემები და მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც ხარვეზები არ გამოვლენილა. შესაბამისად,
3.6.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის საქმიანობის შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულება მჭიდროდ და კონსტრუქციულად თანამშრომლობს საგანმანათლებლო სფეროს მარეგულირებელ უწყებებთან (სამინისტრო, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რესურსცენტრი). სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარადგენს ყოველწლიურ საფინანსო და საგანმანათლებლო ანგარიშებს, სტატისტიკურ მონაცემებსა და ნებისმიერ მოთხოვნილ ინფორმაციას. შესაბამისად,

3.6.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის საქმისწარმოების წესი (დირექტორის ბრძანება #1/40, 01/09/2024);*
2. *docs.schoolbook.ge-ის პლატფორმის მონაცემები და ადგილზე წვდომის შემოწმება;*
3. *eschool.emis.ge და eflow.emis.ge-ის პროფილის მონაცემები და ანგარიშები;*
4. *მოსწავლეთა პირადი საქმეების შემოწმება (ადგილზე);*
5. *მარეგულირებელ უწყებებთან გაგზავნილი წერილებისა და ანგარიშების რეესტრი.*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნით სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს. ძირითად პლატფორმას წარმოადგენს სკოლის ოფიციალური ვებგვერდი (www.samreklo.ge) და ოფიციალური Facebook-გვერდი. აღნიშნული არხების მეშვეობით ხორციელდება მშობლების, მოსწავლეებისა და ფართო საზოგადოების დროული ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სიახლეების, სასწავლო პროცესის, დაგეგმილი აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერვიუებში მათ დაადასტურეს, რომ სოციალური ქსელებისა და ვებგვერდის მეშვეობით რეგულარულად იღებენ

ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე აქტივობების შესახებ (მაგ. სკოლის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მოსწავლეთა მიერ დადგმული სპექტაკლის შესახებ დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებაზე). შესაბამისად,

3.6.3.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის საკომუნიკაციო არხებისა და ვებგვერდის (www.samreklo.ge) მონიტორინგით დასტურდება, რომ მასზე განთავსებულია მხოლოდ სანდო, გადამოწმებული და უტყუარი ინფორმაცია. ვებგვერდზე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამების, საგნობრივი კურიკულუმების, სასკოლო კლუბების, ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა შემადგენლობის შესახებ, რაც გამორიცხავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. შესაბამისად,

3.6.3.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის“ შესწავლით დასტურდება, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის ყველა ეტაპზე მკაცრად არის დაცული თანასწორობის, არადისკრიმინაციულობისა და პროფესიული ეთიკის პრინციპები. სკოლა თავის საჯარო განცხადებებსა თუ ყოველდღიურ კომუნიკაციაში ავლენს ტოლერანტულ და პატივისცემით განწყობილ მიდგომას ნებისმიერი ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლის მიმართ. შესაბამისად,

3.6.3.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ორი მოქმედი ვებ გვერდი(skolebi.emis.ge; samreklo.ge) და ერთი პროფილი ფეისბუქის პლათფორმაზე, რომლებზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

3.6.3.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდი შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას, რომელთა განთავსებაც სავალდებულოა სტანდარტის მიხედვით. ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

3.6.3.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;*
2. *სკოლის ოფიციალური ვებგვერდი (www.samreklo.ge);*
3. *სკოლის ოფიციალური Facebook გვერდი;*
4. *ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამები და კურიკულუმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

განხორციელება სკოლის „ბიუჯეტისა და ხარჯთაღრიცხვის“ დოკუმენტის ანალიზითა და ბუღალტერთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ფინანსური რესურსები სრულად ფარავს სასკოლო კურიკულუმითა და 1-წლიანი სამოქმედო გეგმით (ბრძანება #1/6) გათვალისწინებული ყველა აქტივობისა და პროექტის განხორციელებას. სკოლა ფინანსურ სახსრებს იღებს რამდენიმე წყაროდან: საპატრიარქოდან მთავრობის განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი ბიუჯეტით, სამინისტროდან მიღებული ვაუჩერული დაფინანსებითა და მშობლების მხრიდან სწავლის საფასურის თანაგადახდით. ბიუჯეტში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები, სასწავლო რესურსებისა და ტექნოლოგიების შესყიდვა (მათ შორის, docs.schoolbook.ge-ისა და ვებგვერდის მომსახურების ხარჯები), სარეზერვო ფონდი და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, რაც უზრუნველყოფს სკოლის უწყვეტ და გამართულ ფუნქციონირებას. შესაბამისად,

3.7.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლაში მოქმედებს ფინანსების მართვის გამჭვირვალე სისტემა, რაც დასტურდება „ბიუჯეტისა და ხარჯთაღრიცხვის“ დოკუმენტისა და ფინანსური მართვის პრაქტიკის შესწავლით. ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვა ხდება კოლეგიური პრინციპებით, კათედრებისა და სკოლის სხვა სტრუქტურული ერთეულების საჭიროებათა გათვალისწინებით. ფინანსური სახსრების განკარგვასა და მონიტორინგს ახორციელებს ბუღალტერია დირექტორთან კოორდინაციით, ხოლო შესყიდვები ხორციელდება წინასწარი ბაზრის კვლევისა და შესყიდვების გეგმის საფუძველზე, რაც ფინანსური რესურსების რაციონალურ და მიზნობრივ გამოყენებას უზრუნველყოფს. შესაბამისად,

3.7.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის ბიუჯეტი და ხარჯთაღრიცხვა;*
2. *1-წლიანი სამოქმედო გეგმა (დირექტორის ბრძანება #1/6, 01/09/2025);*
3. *გაზრის კვლევისა და შესყიდვების გეგმის დოკუმენტაცია;*
5. *საპატრიარქოდან დაფინანსების გადარიცხვის დამადასტურებელი საბუთები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის/მშობლის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმები ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და სხვა შიდა რეგულაციებში, რომლებიც საჯარო და ხელმისაწვდომია სკოლის შინაგანაწესის (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #1/18, 11/11/2025) და სკოლის „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის-კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტის“ (ბრძანება #1/54, 01/09/2024) ანალიზით დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს მოსწავლისა

და მშობლის უფლებების დაცვის მკაფიო მექანიზმები. ეს რეგულაციები განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ინტერესთა დაცვის გარანტიებსა და ეთიკურ ნორმებს. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ იცნობენ სკოლის წესებს, სრულად ენდობიან სკოლის გარემოს და მათი უფლებები ყოველდღიურ რეჟიმში დაცულია. ურთიერთობები დამატებით რეგულირდება მშობლებთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებებით. სკოლა ფუნქციონირებს სსიპ საზოგადოებრივი პროფესიული კოლეჯის „ქართლის“ შენობაში, სადაც ფიზიკური უსაფრთხოება დაცულია დაწესებულებაში არსებული დაცვისა და ვიდეომონიტორინგის სისტემებით, ასევე სკოლის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისა და მორიგე მასწავლებლების მიერ, რომელთა მორიგეობის განრიგი დამტკიცებულია დირექტორის მიერ. სკოლაში შემუშავებულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სასკოლო საზოგადოებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას; მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებასა და მისი ღირსების დაცვას; სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მოქმედებას; სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოსათვის საფრთხის შექმნაზე რეაგირებას. შესაბამისად,

4.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია დერეფანსა და თვალსაჩინო ადგილებზე და მასში სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით. მოსწავლის უფლებების დაცვის სადარაჯოზე დგას დისციპლინური კომიტეტი, რომელიც კანონის ფარგლებში უზრუნველყოფს სკოლაში არსებული ნებისმიერი წესის, კანონის დარღვევის განხილვისა და მსვლელობის პროცესს. სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის არჩევნები ტარდება დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, ხოლო არჩევნების საორგანიზაციო საკითხები და შედეგები ფორმდება შესაბამისი ოქმებით. ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები მომზადებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭვირვალეა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია. შესაბამისად,

4.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ფორმდება კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულება, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება სკოლაში, მეორე კი - გადაეცემა მშობელს. ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უწყდება სტატუსი, ან გადადის სასწავლებლად სხვა სკოლაში, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ავტომატურად წყდება. სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტების მხრიდან მოხდა მოსწავლეთა პირადი საქმეების დეტალურად შესწავლა. პირად საქმეებში სრულად იყო წარმოდგენილი მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული კანონის შესაბამისი ხელშეკრულებები. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ.

4.1.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის შინაგანაწესი (დირექტორის ბრძანება #1/18, 11/11/2025);*
2. *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის-კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება #1/54, 01/09/2024);*
3. *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;*
4. *მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ოქმები;*
5. *მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მარეგულირებელი დოკუმენტის“ შესწავლით დასტურდება, რომ მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი პროცედურა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით დადგენილ წესებს. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანება განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის წესსა და პირობებს. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს საფეხურის დაძლევის წესს; „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანება კი - მოსწავლის მობილობის წესს. შესაბამისად,

4.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა, შემუშავებული დოკუმენტისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ვადების დაცვით ახორციელებს და იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად, სამინისტროს მიერ დადგენილ ეტაპებზე, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, რომელშიც გამოყოფილია სსსმ მოსწავლეთა კვოტაც. თუ მოსწავლე გადმოდის მობილობით, ასეთ შემთხვევაში მშობლის განცხადების შემდეგ სკოლა ელექტრონული ფორმით მოთხოვნას უგზავნის გამშვებ სკოლას და იღებს მისგან დასტურს, რის საფუძველზეც ხდება მოსწავლის ჩარიცხვა. სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის შემთხვევები ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, ფორმდება დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით (ბრძანებებით) და დროულად აისახება eSchool-ის ელექტრონულ ბაზაში. ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლეს კლასი და საფეხური დაძლეულად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ მისი წლიური შეფასება არის 5.0 და მეტი ქულა (რაც კონტროლდება SchoolBook-ის ელექტრონულ პლატფორმაზე). სკოლა ყოველთვის იცავს მოსწავლის ჩარიცხვის და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

4.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო მომსახურების სახეები, პირობები, საგანმანათლებლო პროგრამები და მათი სპეციფიკა, სწავლის საფასურის თანაგადახდის პირობები, სკოლის შიდა პოლიტიკა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის წესები საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფებზე (შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია, ტელეფონის მოხმარების ნორმები და სხვა). გარდა ამისა, ელექტრონული საკომუნიკაციო არხების (სოციალური ქსელები, SchoolBook პლატფორმა) საშუალებით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. სკოლას სხვადასხვა დოკუმენტის სახით აქვს გაწერილი წლის მანძილზე შესასრულებელი აქტივობებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი/გეგმა, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას წინასწარ განისაზღვროს მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევები, შედეგები და შესაბამის ქცევაზე რეაგირების ფორმები. წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

4.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მშობელთან ურთიერთობის წესები. დირექტორის ბრძანებით დანიშნულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც დირექტორთან შეთანხმებით, სკოლის საინფორმაციო დაფებზე, ელექტრონულ გვერდებსა და სოციალურ ქსელში დროულად განათავსებს საჭირო ინფორმაციას. სკოლის დირექცია, პერსონალი და დისციპლინური კომიტეტი აქტიურად უზრუნველყოფენ, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია სასკოლო აქტივობებისა და რესურსების შესახებ იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის სოციალური ქსელით პერსონალის ან მასწავლებლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ, არის თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული. სკოლის ფეისბუქ გვერდსა და სხვა საკომუნიკაციო არხებზე განთავსებული აქტივობები არის გამჭვირვალე, ეთიკური და არადისკრიმინაციული.

4.1.2.4ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მარეგულირებელი დოკუმენტი;*
2. *მოსწავლის სტატუსის შეჩერების/აღდგენის/შეწყვეტის შესახებ სკოლის დირექტორის გრძანებები;*
3. *eschool.emis.ge-ის გაზის მონაცემები;*
4. *მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

მექანიზმი სკოლის „მოსწავლის ადაპტაციის წესისა და მექანიზმების“ დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ ახალი მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან შეგუების მიზნით განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები. ადაპტაციის პროცესს კოორდინაციას უწევს კლასის დამრიგებელი, რომელიც ხვდება მშობლებს, აგროვებს წინასწარ ინფორმაციას მოსწავლის საჭიროებების შესახებ და უზრუნველყოფს მის გლუვ ინტეგრაციას კლასთან. შესაბამისად,

4.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირველკლასელთა და ახლად ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციას სწავლის დაწყების პირველივე დღიდან. ამ მიზნით სკოლა გეგმავს ღია კარის დღეებს, საინფორმაციო შეხვედრებს მშობლებისთვის, საზეიმო ღონისძიებებსა და შემეცნებით ტურებს სასკოლო სივრცეში.

4.2.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერა სკოლაში ხორციელდება სისტემურად. საგნის მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევენ დეტალურ განმავითარებელ უკუკავშირს, რომელიც აისახება SchoolBook-ის ელექტრონულ პლატფორმაზე. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები გეგმავენ ინდივიდუალურ კონსულტაციებსა და დამატებით მეცადინეობებს საჭიროებების აღმოსაფხვრელად. შესაბამისად,

4.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონით დადგენილ ვადებში. სკოლა ხელს უწყობს ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველ მოსწავლეებს, უტარებს მათ საკონსულტაციო შეხვედრებს, დროულად ამზადებს და გასცემს აკადემიურ ცნობებსა და ნებისმიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტს. შესაბამისად,

4.2.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების სასკოლო კლუბები და არაფორმალური საგანმანათლებლო პროექტები. მოსწავლეებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ სკოლაში მოქმედებს წიგნების კლუბი, ხორციელდება პროექტები – „ტვინების შეჯიბრი“ და ეწყობა მოსწავლეთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. მნიშვნელოვანია, რომ ამ გამოფენა-

გაყიდვიდან შემოსული თანხა მოსწავლეთა ინიციატივითა და სკოლის მხარდაჭერით გადაირიცხა ქველმოქმედების მიზნით „მომავლის სახლში“, რაც ადასტურებს სამოქალაქო და ზნეობრივი ღირებულებების განვითარებას. გარდა ამისა, მოსწავლეებმა დადგეს სპექტაკლი დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებაზე, რაც გაზიარებულ იქნა სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში.

სკოლის დაწყებითი საფეხურის ყოველ კლასში დედამიწის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა მრავალფეროვანი აქტივობები:

• ინფორმაციის შეგროვება, ვიდეოჩანაწერების ნახვა და მსჯელობა ეკოლოგიურ საფრთხეებზე (III ა კლასი);
• პლაკატებისა და პოსტერების დამზადება(II, III და IV-ა კლასი);
• ,,დედამიწა ჩვენს ხელშია!'' - სკოლის წინ ფილებზე ხატვა(IV ბ კლასი)
• ანიმაციის ,,დედამიწის დაბადების დღე“ ნახვა და საუბარი(ყველა კლასი)

მოსწავლეთა შემაჯამებელი თვითშეფასება - ,,ჩვენ კეთილგონიერი დედამიწელები ვართ!“.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში წლების მანძილზე წარმატებით ფუნქციონირებს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლასთან არსებული სიმღერისა და გალობის გუნდი "მარგალიტები". გუნდი წრმატებით მონაწილეობს სხვადასხვა ადგილობრივ, თუ საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებში. სკოლის მუსიკალურმა გუნდმა გალობის გუნდთან " მარგალიტებთან" ერთად მონაწილეობა მიიღო 14 მაისს ქალაქ რუსთავში საპატრიარქოს მიერ განხორციელებულ კონკურსში " ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას" ნახევარფინალში. ასევე, 26 აპრილს მომღერალთა და მგალობელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა, ქვიშხეთში გამართულ სახალხო დღესასწაულზე - „დიმიტრი ყიფიანობა - 2026“.

22 ოქტომბერს , საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლასთან არსებულმა სიმღერისა და გალობის გუნდმა "მარგალიტებმა," მონაწილეობა მიიღო ისრაელში, ქალაქ ზეფატში გამართულ საგუნდო სიმღერის ფესტივალზე "Let's Sing Friends". გახდნენ ფესტივალის ლაურეატები და დაჯილდოვდნენ დიპლომით.

სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა გორისა და ატენის ეპარქიის, ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის ყოველწლიურ საშობაო ფესტივალ ,,გენეთლია“ -ზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში:

- საკონფერენციო თემა ,,პირველი ქრისტიანული ტაძრები საქართველოში“ წარადგინა XI კლასის მოსწავლემ
- მოსწავლეთა ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენაზე სტუმრებისა და გორისა და ატენის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე ანდრაის(გვაზავა) მოწონება დაიმსახურა ხელნაკეთმა თოჯინებმა. ინტერესით გამოიკითხა დამზადების დეტალები და ავტორები. მადლობა გადაუხადა ფესტივალში მონაწილე ოჯახს;
- ხატვის კონკურსში- მცხეთის ჯვრის ორნამენტები- მონაწილეობა მიიღო VIII კლასის მოსწავლემ;
- თვითშემოქმედებით კონცერტზე მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია წარადგინა მოსწავლეთა ჯგუფმა.

მიმდინარე წელს , სკოლის მე-6 ა კლასის მოსწავლეებმა, წარმოადგინეს სპექტაკლი „ვარსკვლავბიჭუნა“ ოსკარ უაილდის ამავე სახელწოდების ზღაპრის მიხედვით. მოსწავლეებმა ზედმიწევნით გაითავისეს როლები და შთაბეჭდილება მოახდინეს მაყურებელზე. სპექტაკლს ესწრებოდნენ მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები.

მიმდინარე სასწავლო წლის დეკემბრის თვეში, სკოლის III-ა კლასის მოსწავლეებმა ზღაპარი ,,გრინჩის თავგადასავალი" გააცოცხლეს ვასილ გულეურის პიესითა და ანიმაციით.

4-ა კლასის ბავშვებმა წარადგინეს სპექტაკლი ინგლისურ ენაზე "New Year's Tale".

სკოლა ჩართულია პროექტში "გოგონებისა და ბიჭების თანაბარი შესაძლებლობები" . პროექტი ხორციელდება სამოქალაქო განთლების პედაგოგთა ფორუმისა და ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობით. სკოლაში პროექტს ახორციელებს - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა. პროექტის ფარგლებში:

- განხორციელდა სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზი გოგონებისა და ბიჭების თანაბარი შესაძლებლობების ჭრილში;
- გაიმართა დებატები თანასწორობის თემაზე;
- სკოლას სტუმრობდა მოწვეული სპეციალისტი- მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, გენდერული საბჭოს წევრი.

სკოლაში სახელმწიფო ენის კათედრის ხელმძღვანელობით რეგულარულად იმართება კალეგრაფიის კონკურსები. გამარჯვებული მოსწავლეები ჯილდოვდებიან სხვადასხვა წამახალისებელი საჩუქრებით.

ასევე, სკოლაში გაიმართა სახელმწიფო ენისა და ესთეტიკური კათედრების მიერ ორგანიზებული კონფერენცია თემაზე- წმინდა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. მოსწავლეებმა პედაგოგის ხელმძღვანელობით დაამუშავეს თემები წმინდანის ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებზე.

სკოლაში ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი. ასევე, სამოქალაქო განათლების კლუბ ,,ინტელეგოს" ინიციატივით გაიმართა სასკოლო დებატების ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც კლუბის წევრებმა, ასევე არაწევრმა მოსწავლეებმა. ჩემპიონატის მთავარი მიზანი იყო მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის გაზრდა, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დაცვა და განსხვავებული აზრის პატივისცემის კულტურის ჩამოყალიბება.

მიმდინარე წელს სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრისა და სამოქალაქო განათლების კლუბ „ინტელეგოს" ფარგლებში გაიმართა ინტელექტუალური შეჯიბრის – „ინტელექტ-არენა"-ს დასკვნითი ტური. „ინტელექტ-არენას" განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ინტელექტუალური და სამოქალაქო განვითარებისათვის. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს ზოგადი განათლების გაღრმავებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, არგუმენტირებული მსჯელობის კულტურის ჩამოყალიბებას, ასევე გუნდური თანამშრომლობისა და ჯანსაღი კონკურენციის წახალისებას.

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ხაშურში , სკოლის ახალი შენობის მიმდებარედ არსებულ ახალი ბანას კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრთან, რომლის ინიციატივით და ილიაუნის ხელშეწყობით 2026 წელს გაიმართა ღონისძიებები საგანმანათლებლო-შემეცნებითი მოგზაურობა აბიტურიენტებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის და დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

სკოლაში ხორციელდება უამრავი პროექტი. განხორციელებული პროექტების ნაწილი: ესთეტიკის კათედრის ფარგლებში - ,,მუსიკის როლი ანიმაციაში". ასევე, VI - ა კლასის მოსწავლეებმა, თემაზე "მუსიკალური თეატრი" - ს ფარგლებში, წარმოადგინეს პროექტი- მიუზიკლი "ვერის უბნის მელოდიები".
სახვით და გამოყენებითი ხელოვნების პროექტის ფარგლებში, პედაგოგის ხელმძღვანელობით Xა და Xბ კლასის მოსწავლეებმა შექმნეს პროექტი ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული ტაძრების შესახებ, დაამზადეს ბუკლეტები, შექმნეს ვიდეო-რგოლი და განათავსეს ინტერნეტში პოპულარიზაციის მიზნით.

შესაბამისად,
4.2.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას
სკოლაში პერიოდულად ტარდება კმაყოფილების კვლევები და გამოკითხვები მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. მიღებული უკუკავშირი ანალიზდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ და გათვალისწინებული ხდება მომსახურების ხარისხის, სასწავლო გარემოსა და არაფორმალური აქტივობების დაგეგმვა-გაუმჯობესების პროცესში. შესაბამისად,
4.2.1.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. *მოსწავლის ადაპტაციის წესი და მექანიზმები;*
2. *SchoolBook-ის ელექტრონული ჟურნალის მონაცემები და მასწავლებელთა უკუკავშირები;*
3. *ექსტერნატის საგამოცდო/საკონსულტაციო შეხვედრების განრიგი და ბრძანებები;*
4. *სასკოლო კლუბებისა და პროექტების ანგარიშები და ფოტომასალა;*
5. *ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვის ამსახველი მასალები და „მომავლის სახლში“ თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი საბუთი;*
6. *მოსწავლეთა და მშობელთა კვლევის კითხვარები და კვლევის შედეგების ანალიზი;*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სერვისები ხელმისაწვდომია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კერძოდ – გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი კავკასიის უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებისთვის იმართება საინფორმაციო შეხვედრები და პრეზენტაციები სხვადასხვა პროფესიის შესახებ. შესაბამისად,

4.2.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა სისტემატურად გეგმავს არაფორმალურ აქტივობებს პროფორიენტაციის მიზნით, რაც მოიცავს საჯარო ლექციებს, შეხვედრებს წარმატებულ პროფესიონალებთან, ვიზიტებს სხვადასხვა კომპანიასა და უმაღლეს სასწავლებელში, რაც ეხმარება მოსწავლეებს მომავალი პროფესიის გაცნობიერებულად არჩევაში. შესაბამისად,

4.2.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ჩატარებული პროფორიენტაციული აქტივობების დასრულების შემდეგ, სკოლა იღებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან (კითხვარების ან ზეპირი გამოკითხვის გზით) შეხვედრების პროდუქტიულობის შესახებ. აღნიშნული შეფასებების შედეგები გათვალისწინებულია მომდევნო აქტივობების დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სერვისის დახვეწის პროცესში. შესაბამისად,

4.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *პროფორიენტაციის ფოტომასალა და ჩატარებული ღონისძიებების ანგარიშები;*
2. *კავკასიის უნივერსიტეტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი;*
3. *მოსწავლეთა კითხვარები და გამოკითხვის შედეგები პროფორიენტაციის სერვისის შეფასების შესახებ;*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის კურიკულუმის კონცეპტუალური ნაწილის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის ზოგადი მექანიზმი. მართალია, ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდისთვის სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა დაწესებულება გამოხატავს სრულ მზაობას და აქვს პროცედურული გზამკვლევი, რომ ასეთი მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში დროულად უზრუნველყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება და განხორციელება. შესაბამისად,

4.2.3.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის შიდა რეგულაციების თანახმად, სსსმ მოსწავლის გამოვლენის/ჩარიცხვის შემთხვევაში, მისი მხარდაჭერის პროცესი დაეფუძნება მულტიდისციპლინური გუნდის, საგნის პედაგოგების, მშობლისა და ფსიქოლოგის მჭიდრო კოლექტიურ თანამშრომლობას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას. შესაბამისად,

4.2.3.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის კურიკულუმის შესაბამისი თავი (ინკლუზიური განათლების ნაწილი);*
2. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისა და მონიტორინგის პროცედურული მექანიზმი.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებსა და მშობლებს სთავაზობს დამატებით გახანგრძლივებული ჯგუფისა და ტრანსპორტირების სერვისებს. აღნიშნული მომსახურებები ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადი ნორმებისა და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვით. შესაბამისად,

4.2.4.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დამატებითი სერვისების მიღება ხორციელდება სრულიად ნებაყოფლობით საფუძველზე, მშობელთა განცხადებებისა და სკოლასთან გაფორმებული სპეციალური ხელშეკრულებების საფუძველზე, სადაც გაწერილია მომსახურების გაწევის კონკრეტული წესები და პირობები. სკოლაში მოქმედებს გახანგრძლივებული ჯგუფის ფუნქციონირების წესი, რაც სრულ წესრიგშია. შესაბამისად,

4.2.4.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სატრანსპორტო მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამის მძღოლებთან. ექსპერტთა მიერ ადგილზე დეტალურად შემოწმდა მძღოლების მართვის მოწმობები (შესაბამისი კატეგორიები) და სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დოკუმენტები, რაც სრულ წესრიგშია და შეესაბამება უსაფრთხოების ნორმებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების აქტი. შესაბამისად,

4.2.4.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *გახანგრძლივებული ჯგუფის შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ დირექტორის ბრძანება და წესი;*
2. *ტრანსპორტირების სერვისით სარგებლობის შესახებ მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
3. *სატრანსპორტო მომსახურების გაწევის მიზნით მძღოლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მძღოლების მართვის მოწმობები და ტრანსპორტის ტექინსპექტირების დოკუმენტები (შემოწმდა ადგილზე);*
4. *სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების აქტი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1	☐ შეესაბამება

კურიკულუმის შემუშავება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლაში შემუშავებულია და მოქმედებს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №1/51, 01/09/2024 წ.), რომელიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ძირითად მიდგომებს. დოკუმენტი დეტალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების (პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები) ჩართულობის მექანიზმებს, მათ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმების შემუშავება და განვითარება ხდება კათედრების დონეზე, თანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე.

2.1.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის საგნობრივ კურიკულუმებში (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები) სრულად არის ასახული მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები და შესაძლებლობები. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს საგაკვეთილო და არაფორმალური აქტივობები, მათ შორის სხვადასხვა წრეები და კლუბები (მკითხველთა კლუბი, ჭადრაკისა და მუსიკის წრეები). პედაგოგები საგაკვეთილო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და მოსწავლეთა შესაძლებლობებს არგებენ კომპლექსური დავალებების პირობებს. მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებული პრინციპებით, რაც ზრდის მათ მოტივაციასა და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას.

2.1.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. კურიკულუმების შემუშავების პროცესში პარალელი კლასების მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და კათედრის წევრებთან შეთანხმებით, წინა სასწავლო წლის გამოცდილებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს. დოკუმენტების განხილვა ხდება კათედრის სამუშაო შეხვედრებსა და სხდომებზე, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით. პროცესში გათვალისწინებულია მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირიც. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს (Teams-ისა და ელექტრონული ჯგუფების მეშვეობით) აცნობს განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობას, სასწავლო მიზნებსა და შეფასების კრიტერიუმებს.

2.1.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი საგანმანათლებლო მასალები საჯარო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრის სხდომებსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმებს (Teams-ის და Facebook- ის დახურულ ჯგუფებს კლასების მიხედვით) მშობლებისა და მოსწავლეების დროული ინფორმირებისა და საინფორმაციო მასალების, მათ შორის კომპლექსური დავალების ბარათების, გასაზიარებლად. სკოლის ვებგვერდი (www.samreklo.ge) და სოციალური ქსელები ასევე გამოიყენება სასწავლო პროცესის შედეგების, პროექტებისა და კურიკულუმის რეალიზაციის საჯაროობის უზრუნველსაყოფად.

2.1.1.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (ბრძანება №1/51, 01/09/2024 წ.);

2. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმები;

3. კათედრის სხდომის ოქმები (საფეხურების მიხედვით);

4. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
5. მშობელთა კრებებისა და საინფორმაციო შეხვედრების ოქმები;
6. სკოლის ვებგვერდი (www.samreklo.ge) და Facebook გვერდი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმები სრულად პასუხობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მოთხოვნებს. ჩარჩო ცხრილებში სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებების იდეები. კურიკულუმის არქიტექტურა ეფუძნება კონსტრუქტივისტულ მიდგომებსა და სპირალურ პრინციპს, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად განავითაროს კვლევითი უნარები და მიღებული ცოდნა გამოიყენოს რეალურ ცხოვრებაში (მაგ. ეკოლოგიური პრობლემების ანალიზი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ენერგიის კონსერვაცია). წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ (მათ შორის შეფასების ნიმუშებმა) და მასწავლებლებთან ინტერვიუმ წარმოაჩინა კათედრის მზაობა და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა. კურიკულუმის განვითარებისას კათედრა ავლენს რეფლექსურობას, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, მოსწავლეთა უკუკავშირს, მრავალფეროვან რესურსებსა და შეფასების ვალიდურ რუბრიკებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გარემოს.

	ამიტომ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **2.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებები (გეოგრაფია, ისტორია, სამოქალაქო განათლება) მოსწავლის აღზრდის პროცესში ფუნდამენტალურ როლს ასრულებს. ეს საგნები არ არის მხოლოდ ფაქტების ერთობლიობა: ისინი აყალიბებენ პიროვნებას, როგორც აქტიურ მოქალაქეს და ანალიტიკურ მოაზროვნეს. **კურიკულუმი: პროგრამის** სტრუქტურა, სასწავლო მასალა, რესურსები შეესაბამება საგნის **2.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს კურიკულუმებს. კურიკულუმებში შეტანილი თემები (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით) მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **2.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მათში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, პროექტები და აქტივობები ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებას გულისხმობს. კურიკულუმი ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური

	ცოდნის გაღრმავებაზე, არამედ იმ უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და შემოქმედებითი ზრდისთვის.
სახელმწიფო ენა	**2.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმისა და მათემატიკის სტანდარტით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად და ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში მკაფიოდ იკვეთება ისეთი სასწავლო აქტივობები და დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე და ხელს უწყობს ღრმა, ფუნქციური ცოდნის განვითარებას. აღნიშნული მიდგომა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, ინდივიდუალურად განვითარდნენ, წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განივითარონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული, როგორც სწავლების ძირითადი შედეგები. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მათემატიკის მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ სასურველია კათედრის ყველა მასწავლებელმა ისარგებლოს კათედრაზე დამტკიცებული ჩარჩოთი და ყველა კურიკულუმი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში. 2.1.2.1.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს,ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს.

	2.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	საგან ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **2.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის სწავლება. საკითხები დალაგებულია ისე, რომ მოსწავლისათვის შედეგის მიღწევა უფრო ხელსაყრელი იყოს. კურიკულუმში შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, პროექტები ,შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. სასწავლო პროცესი თანხვედრაშია საგნობრივ კურიკულუმთან , რაც დადასტურდება შესრულებული აქტივობების საფუძველზე. **რჩევა: ბუნებისმეტყველების 1კლასის კურიკულუმი** -დავალების იდეის გრაფაში დაკონკრეტდეს და მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას. **2.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი სრულ თანხვედრაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებთან და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. დოკუმენტაციაში მკაფიოდ არის ნაჩვენები კავშირი შუალედურ სასწავლო აქტივობებსა და ესგ-ით განსაზღვრულ საბოლოო შედეგებს შორის, რაც ეფექტურად უწყობს ხელს სამყაროს

	ერთიანი, სისტემური აღქმის ჩამოყალიბებას და ადასტურებს საგნობრივი სწავლების შესაბამისობას სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებთან. კურიკულუმების შესწავლისას ცალსახად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სათანადოდ იყენებენ საგნობრივ სტანდარტებს და მზად არიან მათ სამომავლო დასახვეწად. სასწავლო თემები, საკითხები, რესურსები და კომპლექსური დავალებების პირობები უშუალოდ ემსახურება საგნობრივი სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მეცნიერული წიგნიერებისა და ისეთი გლობალური თუ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და მოქალაქეობა. **2.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმი სრულად თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებთან. სასწავლო თემები სტრუქტურირებულია სამიზნე ცნებების გარშემო, ხოლო დაგეგმილი კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის მიერ ფუნქციური ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. კურიკულუმში მკაფიოდ არის გაწერილი კავშირები გრძელვადიან მიზნებსა და ყოველდღიურ აქტივობებს შორის მასალებში არის შემოქმედებითი პროდუქტის მამტკიცებელი დოკუმენტები **2.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში თემები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. **2.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, მათში გაწერილი შემოქმედებითი დავალებებით მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. იგი ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას, კულტურული თვითშეგნების ჩამოყალიბებას და თვითგამოხატვის უნარის ფორმირებას. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია ესგ-ის საუძველზე ჩამოყალიბებულ ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებთან. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რაც ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების რეალიზაციის წინაპირობაა. **2.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით აფასებს. **2.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. თითოეული თემატური ერთეული და მასთან დაკავშირებული აქტივობა უკავშირდება საგნობრივ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. **რჩევა:** (დაწყებითი) სასურველია მასწავლებლებმა VI კლასის კურიკულუმში გაითვალისწინონ თემის „მონაცემი, მონაცემთა ანალიზი“ ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნების/ქვეცნების სვეტი, და მოვიდეს შესაბამისობაში თემასთან. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) VI, IX და X კლასების კურიკულუმში სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს „კონტექსტ-მაგალითისა“ და „დავალების იდეა/პირობის“ შესაბამის

	სვეტებს. საჭიროა მეტი სიცხადით ჩანდეს შერჩეული კონტექსტ-მაგალითები და დავალების იდეა/პირობები. **2.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები და მათში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზებასა და თვითკონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში. **2.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგან ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსაკენ. **2.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და მეთოდური რეკომენდაციები და მათი შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შედეგების მიღწევას. შერჩეულია ისეთი ტიპის შუალედური დავალებები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი , სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. **2.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსები (სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები, ვიზუალური და ელექტრონული საშუალებები, პრეზენტაციები და პრაქტიკული დავალებები) სრულ შესაბამისობაშია

	ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები შემუშავებულია მოსწავლეთა მზაობისა და ინტერესების შესაბამისად; ისინი მოსწავლეებს აძლევენ სხვადასხვა ალტერნატიული რესურსის გამოყენებისა და პროდუქტის წარდგენის ფორმის არჩევის შესაძლებლობას ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობასა და ეფექტურ სწავლას. **2.1..2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (სახელმძღვანელოები,წყაროები, ციფრული მასალები) შინაარსობრივად მიემართება სწავლის შედეგებს. დაწესებულება უზრუნველყოფს რესურსების მრავალფეროვნებას და ხელს უწყობს მოსწავლის მიერ დამოუკიდებელი კვლევისა და ანალიზის უნარების განვითარებას. ასევე არის აქტუალური მრავალფეროვანი კვლევებით გამდიდრებული დოკუმენტები წარმოდგენილი **2.1..2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები, რომლის შემადგენლობა ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსული) მასწავლებლები, წლის დასაწყისში შეიმუშავებს მომავალი წლის საგნობრივ კურიკულუმებს; ირჩევს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს, რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. განსაზღვრავენ შემაჯამებელი დავალებების მინიმალურ რაოდენობას კლასების მიხედვით. ადგენენ სამოქმედო გეგმას კერძოდ, გეგმავენ პროექტებს, არაფორმალური განათლების აქტივობებს, პროფესიული ზრდისთვის ღონისძიებებს. **2.1..2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას და სწავლის შედეგების

	მიღწევას. ისინი შერჩეულია ესგ-ის მიზნებისა და კურიკულუმში აღწერილი კომპეტენციების გათვალისწინებით. რესურსები მოიცავს როგორც საბაზისო მასალებს, ასევე დამხმარე რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების მრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და საგნობრივი შედეგების ეფექტურად მიღწევას. ამ რესურსების დახმარებით შესაძლებელია სწავლების პროცესის გამრავალფეროვნება და თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი და ინკლუზიური გარემოს შექმნა. **2.1..2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1..2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია ისე, რომ ისინი სრულად ემსახურება სასწავლო მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებს. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა გამიზნულად იქნა შერჩეული სხვადასხვა ტიპის რესურსები (სახელმძღვანელო, სწავლების ელექტრონული პლატფორმები, ვიდეო მასალები, სხვადასხვა ბეჭდური გამოცემები...). აღნიშნეს, რომ თითოეული რესურსი უკავშირდება კონკრეტულ სწავლის შედეგს და ეხმარება მოსწავლეს ცნებების გაგებაში, პრაქტიკულ გამოყენებასა და უნარების განვითარებაში. **2.1..2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცლებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია კურიკულიმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები. სკოლას არ აქვს გარე მოედანი მაგრამ შიდა, დახურული დარბაზი, აკმაყოფილებს საგაკვეთილო პროცესს.

	2.1..2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ყველა დამხმარე რესურსებსის ასახვა მოხდეს კურიკულუმში. **2.1.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების კურიკულუმებში მითითებულია დამატებითი სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, რომელთა ვებგვერდებიც მოქმედია და ემსახურება სამიზნე ცნებების/ქვეცნებების უკეთ გააზრებას და კურიკულუმში დასახული მიზნების მიღწევას. **2.1..2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ეფექტურად არის ორგანიზებული ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლებაში სისტემატურად გამოიყენება მრავალფეროვანი სტრატეგიები და აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და სწავლის ტემპს. კათედრას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაც მკაფიოდ აისახება კომპლექსური დავალების პირობებსა და კონკრეტულ აქტივობებში. მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიების გამოყენება უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, თანაბარ საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და წარმატებაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს.

	2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმი და საგაკვეთილო აქტიობები იძლევა დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობას. ადვილად მოახდენენ შეფასების, საკითხების და რესურსების ადაპტირებას. **2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; უცხოური ენების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი დავალებების იდეები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ არჩევანს დავალების პროდუქტთან დაკავშირებით. კათედრაზე აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა; კათედრას აქვს არაფორმალური განათლების მხრივ ღონისძიებების ჩატარების პრაქტიკა (ფილმების ჩვენება, დისკუსიების მოწყობა). შემაჯამებელი დავალებების საშუალებით ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართავენ სათანადო ინტერვენციებს. **2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლება ეყრდნობა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს თითოეულის მაქსიმალურ ჩართულობას და თვითგამოხატვას. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის სურვილების და მზაობის გავალისწინებით. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში.

	2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინების პრაქტიკა და წარმოადგინეს კიდეც სახელმწიფო ენის სწავლებისას დიფერენცირებული მიდგომის შესაბამისი საგაკვეთილო აქტივობები. დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების, ინტერესებისა და უნარები მიხედვით. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ადაპტირების საშუალებას, რაც სწავლა-სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების კარგი წინაპირობაა. **2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესშიც გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები — დავალებების სირთულე და მოცულობა მორგებულია სხვადასხვა აკადემიური დონის მოსწავლეებზე. სასწავლო გარემო ხელს უწყობს კომფორტულ, მხარდამჭერ ატმოსფეროს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, თვითდაჯერებულობას და განვითარების შესაძლებლობას. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას. **2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა ისაუბრეს სსმ მოსწავლის ინდივიდუალური მიდგომების შესახებ. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან.

	2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. **2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომლებზეც მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე მუშაობის დროს ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს. **2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი ფორმებით; განმავითარებელი შეფასება გამოიყენება სასწავლო პროცესში მოსწავლის პროგრესის უწყვეტი მონიტორინგისთვის, უკუკავშირის მიწოდებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება - კონკრეტული თემის, მოდულის ან სასწავლო ეტაპის დასრულებისას მოსწავლის მიღწეული შედეგების დასადგენად. წარდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ შეფასების შესაბამისი რუბრიკები. მათ შორის, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

	აგებულია სტანდარტის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით თითოეულ სამიზნე ცნებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებაზე. კათედრაზე ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და ორიენტირებულობას თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწესებულებაში მოქმედი მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. სასწავლო პროცესში დომინირებს განმავითარებელი შეფასება, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. კომპლექსური დავალებების შეფასებისას გამოიყენება განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების პრინციპები, რაც საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების დაუფლების დონე. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ორიენტირებულია ფუნქციური უნარების განვითარებაზე. **რჩევა:** სასურველია იყოს ყველა დავალების შეფასების რუბრიკა,როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი **2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს ორივე ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელ და განმავითარებელს. გამავითარებელი შეფასება ხორციელდება I-XIIკლასებში , ხოლო განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-12 კლასის ჩათვლით. შეფასება სრულად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით როგორც წერილობითი კომენტარი, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. კათედრას შემუშავებული აქვს

	განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას. **2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება დაფუძნებულია კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომას და ითვალისწინებს როგორც შემოქმედებითი პროცესის, ისე შედეგების შეფასებას. იგი მოიცავს ფორმატიულ და შემაჯამებელ შეფასებებს, რაც ეხმარება მოსწავლეს პროგრესის გაცნობიერებაში და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. ამ მიმართულებით შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებზე, თვითგამოხატვის უნარზე, ესთეტიკურ აღქმაზე, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრაზე და მოტივაციის გაზრდაზე. **2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა უმეტესად მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დავალებების შეფასების კრიტერიუმები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამება სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. **2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	შეფასების სისტემა აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების მიხედვით და ემსახურება როგორც სწავლების, ასევე სწავლის პროცესის მხარდაჭერას. სკოლას აქვს წარმოდგენილი შეფასების სქემები, რომლითაც გეგმავენ მასწავლებლები სასწავლო პროცესის მონიტორინგს. მასწავლებლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ მოსწავლეებს წინასწარ აქვთ ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტებზე, კრიტერიუმებზე, და როგორც

	აღნიშნეს ინტერვიუსას გამოკრულია საკლასო ოთახში. მოსწავლემ იცის, რას, როდის და როგორ აფასებენ. **2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი. **2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგან ტექნოლოგიებში სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. **2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით სკოლა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში (ზოგადი, ცნებებთან მიმართებით აგებული და კონკრეტული, უშუალოდ დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებული) **რჩევა:** სასურველია, მსგავსი ტიპის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გამოიყენოთ მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშაოთ ახალი დავალებები და აქტივობები. **2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საგნობრივი კურიკულუმები*
2. *სასკოლო სასწავლო გეგმა*
3. *შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგმვა სასკოლო კურიკულუმის საფუძველზე ქმნის ერთიან და სისტემურ საგანმანათლებლო გარემოს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო საქმიანობის თანმიმდევრულობას, მიზნების სწორად განსაზღვრას და შედეგების მიღწევას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საკლასო სივრცე, ფიზიკური გარემო, რესურსები, კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებები და სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, ცოდნის გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. კურიკულუმზე დაფუძნებული დაგეგმვა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც სწავლებას ხდის უფრო სტრუქტურირებულს, მიზანმიმართულსა და ორიენტირებულს მოსწავლის აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაზე. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი სკოლაში წარიმართება დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ასახულია კათედრის გეგმაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში. საგაკვეთილო პროცესი სტრუქტურირებულია თემატური მატრიცების მიხედვით, სადაც აქცენტი კეთდება სამიზნე ცნებების დაუფლებაზე. კომპლექსური დავალებები ინტეგრირებულია სასწავლო ციკლში და მათი განხორციელების ეტაპები ლოგიკურ კავშირშია კურიკულუმით განსაზღვრულ აქტივობებთან. მასწავლებლები ავლენენ კურიკულუმის პრაქტიკაში რეალიზების მაღალ კომპეტენციას, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. დასტურდება შემოქმედებით დავალებებში **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია სადაც ნათლად არის

	გაწერილი კურიკულუმის განვითარების ფაზების კერძოდ : კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასების, გადასინჯვა , რევიზიის პროცესები და პასუხისმგებელი პირები. ამის დასტურია ასევე წარმოდგენილი სასკოლო საათობრივი ბადე; საგნობრივი კურიკულუმები; - საგანმანათლებლო რესურსი(ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოები, ელ რესურსები) , მოსწავლის შედეგების შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა ურთიერთდასწრება კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა; **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლება ემყარება ესგ-ს მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების, ესთეტიკური აღქმის, თვითგამოხატვისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები, თემატური თანმიმდევრობა, მიზნობრივი აქტივობები და სხვადასხვა ტიპის ამოცანები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. გაკვეთილები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი ისე, რომ მოხდეს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება. მაგალითად, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განიხილავენ მხატვრულ სტილებს, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს, ტექნიკებს და ქმნიან ინდივიდუალურ ნამუშევრებს. მუსიკაში მოსწავლეები ეცნობიან მუსიკის გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს და მუზიცირებენ მღერითა და მათ მიერ შექმნილი მუსიკალური საკრავებით, მსჯელობენ მახასიათებლების როლზე ნაწარმოების მხატვრული სახის შექმნაში. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ცხადია, იყენებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ვინაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში ცვლილებების შეტანაც. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. გაკვეთილების თემატური დაგეგმვა შეესაბამება წლიური მიზნებისა და სწავლის შედეგების თანმიმდევრულობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ინტეგრირებული გაკვეთილები, საგნობრივშორისი კავშირების გაღრმავება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის უნარების განვითარებას რეალურ კონტექსტში. ეს მიდგომები აძლიერებს სწავლის მოტივაციას, ხელს უწყობს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას და ემსახურება ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან ახალი თემატური ბლოკის დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. როგორც ინტერვიუდან დადასტურდა მასწავლებლებს აქვთ ამის გამოცდილება და როგორც აღნიშნეს წინა წლებში ატარებდნენ სადიაგნოსტიკო ტესტირებებს. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს სამივე საფეხურის მასწავლებლებმა ისაუბრეს სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტურქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესის დაგეგმვა განხორციელებულია კურიკულუმის შაბლონის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მინიმალურ სტრუქტურულ შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესი ორგანიზებულია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და კურიკულუმში აღწერილ მიზნებსა და ამოცანებს. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები სწავლების პროცესში ითვალისწინებენ სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს, და ასწავლიან შესაბამისად დაგეგმილი თემატური ერთეულების თანმიმდევრობით.საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება, სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, რაც ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დადასტურდა ინტერვიუს დროსაც. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლაში მოქმედებს სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილ საჭიროებებზე დროული და მოქნილი რეაგირების მექანიზმი. პედაგოგები რეგულარულად მართავენ სამუშაო შეხვედრებს კათედრების ფარგლებში, სადაც დეტალურად განიხილავენ კომპლექსური დავალებების განხორციელების დინამიკას, აანალიზებენ, თუ რომელმა აქტივობამ ან სასწავლო რესურსმა იმუშავა ეფექტურად და რა სირთულეები გამოიკვეთა. საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგები ახდენენ საგნობრივი კურიკულუმების მოდიფიცირებას: ცვლიან ან ამარტივებენ კომპლექსური დავალების პირობას, არგებენ მას კონკრეტული კლასის თუ მოსწავლის მზაობის დონესა და ინტერესებს, ახდენენ სასწავლო თემების კორექტირებას ან ამატებენ დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს. სასწავლო პროცესის მოქნილობასა და დროულ რეაგირებას ხელს უწყობს SOLO ტაქსონომიით მოსწავლეთა ნაშრომების შეფასების ანალიზი. შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად მასწავლებლებს შეაქვთ ცვლილებები მიმდინარე კურიკულუმში, რაც დასტურდება კათედრის სხდომის ოქმებითა და პედაგოგთა რეფლექსიის ფორმებით. სკოლა ასევე პერიოდულად იყენებს მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვის

შედეგებს (დაწყებით საფეხურზე ძირითადად ზეპირ გამოკითხვებს) სასწავლო საჭიროებების დროული იდენტიფიცირებისთვის.

2.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმითა და შიდა რეგულაციებით. იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ცოდნისა და უნარების ობიექტურ, თანმიმდევრულ და სამართლიან შეფასებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, რაც სწავლის პროცესის მუდმივი მონიტორინგისა და შედეგების ანალიზის საშუალებას იძლევა. მასწავლებლები ეყრდნობიან წინასწარ განსაზღვრულ, მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომ და გასაგებ შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს. შეფასების პროცესი გამჭვირვალეა; მოსწავლეები და მშობლები სრულად არიან ინფორმირებულნი წესების შესახებ, ხოლო შეფასების შედეგები რეგულარულად აისახება დოკუმენტაციაში და გამოიყენება სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფასა და მოსწავლეთა ნდობის ამაღლებაში **2.2.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. კათედრასთან შეხვედრის დროს აღნიშნეს პედაგოგებმა , რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისთვის. შეფასება პირდაპირ კავშირშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

	დანერგილი ვერიფიკაციის მექანიზმები და რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და სანდოობას. სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ მიღწევების ფიქსაციაზე, არამედ მოსწავლის შემდგომი განვითარების სტიმულირებაზე. **2.2.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას. კათედრას წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი ბუნების დავალებების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალების ანალიზი. რუბრიკა არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური. **2.2.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამარლიანი. შეფასება ემყერება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც ასახულია სასკოლო კურიკულუმში და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და წინასწარ ინფორმირებულობას. ვალიდურობა გარანტირებულია იმით, რომ შეფასება ეფუძნება იმ კომპონენტებსა და უნარებს, რომელიც ესგ-თ არის განსაზღვრული. სანდოობა და ობიექტურობა მიიღწევა სტანდარტიზებული კრიტერიუმებისა და მრავალმხრივი შეფასების ფორმებს გამოყენებით. **2.2.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული კომპლექსური ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი და შევსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს სახელმწიფო ენის პედაგოგთა

	ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. **2.2.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სქემებით მასწავლებლები გეგმავენ სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და პროგრესის კონტროლს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებისთვის უმეტესად ნათელია რა კონცეფციაზე დაყრდნობითაა შემუშავებული შეფასება. მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ მოსწავლეებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტებზე და კრიტერიუმებზე, რაც ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. მოსწავლეებს აქვთ მკაფიო წარმოდგენა — რას, როდის და როგორ აფასებენ, რაც ზრდის მათი პასუხისმგებლობის განცდას და მოტივაციას. **2.2.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებელები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი. მასწავლებლები ახორციელებენ გამჭვირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მსგავსი ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისთვის. **2.2.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია მრავალკომპონენტიანი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **2.2.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. I-IV კლასებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, ხოლო V კლასის მეორე

	სემესტრიდან და VI კლასში - როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. სკოლაში შემუშავებული შეფასების სისტემა და რუბრიკები არის ვალიდური, გამჭვირვალე და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პროგრესსა და განვითარებაზე, რაც დადასტურდა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით (განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, თვითშეფასების და თანაშეფასების ბარათები), ისე პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე. **2.2.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური ნაწილისა და საგნობრივი კურიკულუმების შესწავლით დასტურდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა შეფასების ზოგადი პრინციპები. თვითშეფასების ფორმაში სკოლა მიუთითებს, რომ 2024 წლის 1 ივლისიდან დაიწყო შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ფუნქციონირება. სასწავლო პროცესის შეფასების ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის ფუნქციები ზოგადად გაწერილია სასკოლო კურიკულუმის დონეზე, სადაც საგნობრივი კათედრები პასუხისმგებელნი არიან შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და იდენტიფიცირებული პრობლემების ანალიზზე.

2.2.1.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესისა და სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მტკიცებულების სათანადო აღრიცხვა და უსაფრთხო შენახვა კანონმდებლობით დადგენილი ვადით (არანაკლებ 3 წლისა). აღნიშნული პროცესი ხორციელდება შემდეგი მექანიზმებით:

1. ელექტრონული აღრიცხვა: მოსწავლეთა მიმდინარე, სემესტრული და წლიური შეფასებები (ქულები), აგრეთვე განმავითარებელი შეფასებები/კომენტარები ასახულია და მუდმივად ინახება ელექტრონულ ჟურნალში.

2. მატერიალური მტკიცებულებების შენახვა: მოსწავლეთა მიერ შესრულებული წერითი და შემოქმედებითი ნამუშევრები (მათ შორის, კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, საპროექტო ანგარიშები და მათზე დართული შეფასების რუბრიკები) საგნის პედაგოგების მიერ ინახება მატერიალური სახით არანაკლებ 3 წლის ვადით. 3. საარქივო საქმისწარმოება: სასწავლო პროცესთან და შეფასებასთან დაკავშირებული ოფიციალური საქმისწარმოების დოკუმენტები, როგორიცაა კათედრის სხდომის ოქმები, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები, მოსწავლეთა პირადი საქმეები და დირექტორის ბრძანებები, სათანადო წესით აღირიცხება და ინახება სკოლის არქივში, რომლის მოწესრიგებასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. ამგვარი სისტემური მიდგომა სკოლას აძლევს შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ დროს მოახდინოს თითოეული მოსწავლის აკადემიური პროგრესის დინამიკის იდენტიფიცირება და შესაბამისი მტკიცებულებების

წარმოდგენა.

2.2.1.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *კათედრის სხდომის ოქმები (სადაც განხილულია კურიკულუმის რეალიზაციის პროცესი და მასში შეტანილი კორექტირებები);*
2. *პედაგოგთა რეფლექსიის ანგარიშები და კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმები;*
3. *მოდიფიცირებული/ადაპტირებული კომპლექსური დავალების ბარათები;*
4. *მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები/ანალიზი;*
5. *სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და კათედრის სამუშაო შეხვედრების მასალები.*
6. *საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის შეფასების ვერიფიკაციის ოქმები (მე და საზოგადოება, გეოგრაფია – IX კლასი, ისტორია – IX კლასი, მოქალაქეობა – VIII კლასი, ჩვენი საქართველო);*
7. *უცხო ენების კათედრის შეფასების ვერიფიკაციის ოქმები (ინგლისური ენა, რუსული ენა – 6 კლასი).*
8. *სკოლის საქმისწარმოების წესი;*
9. *სასკოლო კურიკულუმი (კონცეპტუალური ნაწილი – შეფასების დოკუმენტირებისა და შენახვის წესი);*

10. *საგნის მასწავლებელთა მიერ 3-წლიანი ვადით შენახული მოსწავლეთა ნამუშევრების არქივი (საფეხურებისა და საგნების მიხედვით);*
11. *ელექტრო ჟურნალის მონაცემთა ბაზა;*
12. *კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას გამოიყენება ეროვნული სასწავლო გეგმითა და კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, მასწავლებლის გზამკვლევები), რაც უზრუნველყოფს სასწავლო თემების სისტემურ და თანმიმდევრულ მიწოდებას. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან დამხმარე რესურსებს (პრეზენტაციები, ვიზუალური მასალები, საგანმანათლებლო ვიდეოები, სიმულაციები, სქემები, სამუშაო ფურცლები), რაც ხელს უწყობს სწავლების დიფერენცირებას და სხვადასხვა ტიპის მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას. ძირითადი და დამხმარე რესურსების კომბინირებული გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. ძირითადი რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შესაბამისობას კურიკულუმთან, ხოლო დამხმარე საშუალებები ქმნის მრავალფეროვან სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, ანალიზისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას, ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას და უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

	2.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას მასწავლებლები ეფექტურად ახდენენ სახელმძღვანელოსა და დამატებითი წყაროების (რუკები, საარქივო დოკუმენტები, ციფრული მასალები) ინტეგრირებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მხრიდან საკითხის მრავალმხრივ გააზრებას. რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და პირდაპირ ემსახურება შემოქმედებითი ტიპის დავალებების წარმატებით შესრულებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. **2.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს, რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი , დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. **2.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსი. ძირითადი რესურსები მოიცავს ესგ-თან შეთანხმებულ სახელმძღვანელოებსა და პროგრამულ მასალებს, რომლებიც ემსახურება საგნობრივი მიზნების მიღწევას და მოსწავლეთა საფუძვლიანი ცოდნის ფორმირებას. დამხმარე რესურსებსის ფარგლებში ფართოდ გამოიყენება აუდიო და ვიდეო მასალები, მხავრული ნამუშევრები, ვიზუალური რესურსები და საგანმანათლებლო აპლიკაციები. ასევე ჩართულია ხელოვნების ნიმუშების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების განხილვა და ხელნაკეთ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე პრაქტიკული მუშაობა, რაც ხელს უწყობს უნარების განვითარებას და შემოქმედებითი პროცესის გააზრებას.

	2.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები ნამდვილად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. **2.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც ძირითად, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სწავლების მეთოდურ მრავალფეროვნებას. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის რესურსი: სამუშაო ფურცლები, ვიზუალური მასალები, ონლაინ პლატფორმები და სხვა. ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გადატანაში, კრიტიკული და რაოდენობრივი მსჯელობის განვითარებაში და მათემატიკური ცნებების ფუნქციურად გააზრებაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რესურსების გამოყენების პრაქტიკა სკოლაში თვალსაჩინოა, ყველა გამოყენებული რესურსი სრულად არ აისახება წერილობით კურიკულუმში, რაც აფერხებს დაგეგმვის პროცესში რესურსების სისტემურად დანახვას. **2.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში,სამივე საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურსებს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. **2.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილია ელ. მასალები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქტიურად ხდება დამხმარე რესურსების გამოყენებაც. **2.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სკოლას მითითებული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. თემები და საკითხები მიჰყვება ძირითად რესურს სახელმძღვანელოებს და შესაბამისობაშია სტანდარტის თემებთან. ძირითადი სახელმძღვანელობის გარდა, შემოქმედებითი დავალების განხორციელების მიზნით, კათედრა იყენებს დამატებით ელექტრონულ რესურს, რომელიც გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმით. **2.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების (ელექტრონული მასალები, პრეზენტაციები, სამუშაო ფურცლები, ვიდეოები, სიმულაციები და სხვა) სისტემური შერჩევა და ვალიდაცია. პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ დამატებითი მასალების გამოყენებამდე წინასწარ მოწმდება მათი შინაარსობრივი სიზუსტე, სანდოობა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობა. დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის მექანიზმის არსებობა უზრუნველყოფს გამოყენებული მასალების ხარისხს, სანდოობასა და მიზნობრიობას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს არასანდო ან კურიკულუმთან შეუსაბამო რესურსების გამოყენების რისკს. ვალიდირებული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სწავლების პროცესის სისტემურობას,

	ზრდის მის ეფექტიანობას, ქმნის მრავალფეროვან სასწავლო გარემოს და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევის მხარდაჭერას. **2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში დანერგილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის ქმედითი სისტემა. საგნობრივი კათედრები რეგულარულად ახორციელებენ სახელმძღვანელოს მიღმა გამოსაყენებელი მასალების (ციფრული რესურსები, არაფორმალურ გარემოში ჩატარებული გაკვეთილები, რომელიც კათედრაზე ერთობლივი შეთანხმებით იგეგმება) რევიზიას, რათა უზრუნველყონ მათი აკადემიური სიზუსტე და ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან შესაბამისობა. ვალიდაციის პროცესი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესში არასანდო ან ასაკობრივად შეუსაბამო მასალების მოხვედრას. **2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე ირჩევს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. **2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს მუსიკისა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნების მიმართულებით გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. სკოლა მიმართავს რესურსების შინაარსობრივ შეფასებას, რაც ითვალისწინებს მათი საგნობრივ მიზნებთან, ასაკობრივ თავისებურებებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებულ მოთხოვნებთან თანხვედრას. მასწავლებლები, ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში საგნობრივი ჯგუფები ერთობლივად უზრუნველყოფენ იმ მასალების არჩევას, რომლებიც ასახავს თანამედროვე

	საგანმანათლებლო მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლაში/კათედრაზე ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრა, რომელიც ყოველწლიური შეხვედრების ფარგლებში განიხილავს სახელმძღვანელოებისა და დამხმარე რესურსების შერჩევის საკითხებს. კერძოდ, მათემატიკის კათედრის სხდომის N1 ოქმი (07.09.2025) ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში განხილული იქნა საკითხი: საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვა ". სხდომის ფარგლებში კათედრის წევრებმა განიხილეს ძირითადი და დამატებითი რესურსების შინაარსობრივი შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე მათი ფუნქციურობა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგება. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას — ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ რესურსების შერჩევა ემყარება პროფესიულ მსჯელობას, საგნობრივ და ასაკის შესაბამისობას და არა შემთხვევითობას. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ. **2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას **2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადგან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. **2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო,ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს,მიზანს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამატებითი რესურსების შინაარსობრივი შესაბამისობის შეფასებას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე მათ პრაქტიკულ გამოყენებადობასა და და მოსწავლეთა საჭიროებებზე ადაპტირების ხარისხს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. **2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შესაბამის საკლასო სივრცეებში და უზრუნველყოფილია საჭირო ძირითადი და დამხმარე რესურსებით (სახელმძღვანელოები, სამუშაო ფურცლები, ვიზუალური და ციფრული მასალები, მოდელები, სიმულაციები და დემონსტრაციები).

	რესურსების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებულობას და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული გარემოს შექმნას. ალტერნატიული და დამხმარე რესურსების აქტიური გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებასა და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, კლასებში მოსწავლეთა შედარებით მცირე რაოდენობა იძლევა ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების შესაძლებლობას, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას და ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინებას. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად შეესაბამება საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო თვალსაჩინოებებითა და ტექნოლოგიური რესურსებით, რაც ხელს უწყობს სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებას. დაცულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც ქმნის უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის. მატერიალური რესურსების განაწილება და ხელმისაწვდომობა თანაბარია ყველა მოსწავლისთვის, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობს **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში.

	2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე საგანმანათლებლო ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც შესაძლებელს ხდის თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას, ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას და უსაფრთხო, კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მასწავლებლები კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსს, ისეთი როგორიცაა, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, სხვადასხვა თემატური პლაკატები, ელექტრონული პლატფორმები და სხვა. სკოლას აქვს „ლაბორატორიებით სარგებლობის დებულება“, „ბიბლიოთეკის დებულება“ შესაბამისად, სკოლის ყველა მოსწავლეს, წინასწარ განსაზღვრული წესით, აქვს წვდომა კომპიუტერულ ლაბორატორიაზე და სასკოლო ბიბლიოთეკაზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო პროცესს. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ბურთების, კონუსების, ჩოგნების და სხვა სპორტული ინვენტარი ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამისი იქნება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლა უზრუნველყოფილია კვალიფიციური ადამიანური რესურსით, რომელთა პროფესიული მომზადება სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობითა და ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს. მასწავლებელთა პერსონალური საქაღალდეებისა და საათობრივი დატვირთვის ანალიზი ადასტურებს, რომ საგნობრივი კურიკულუმების იმპლემენტაციას ახორციელებენ შესაბამისი სტატუსისა (მათ შორის, უფროსი და წამყვანი პედაგოგები) და კომპეტენციის მქონე სპეციალისტები. სკოლაში არსებული ადამიანური რესურსი რაოდენობრივად და თვისობრივად პასუხობს სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გამოწვევებს, რაც ქმნის მყარ საფუძველს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტური წარმართვისა და თითოეული საგნობრივი ჯგუფის მიზნების რეალიზებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული ზრდის მხარდაჭერა დადასტურებულია მაძიებელი პედაგოგისათვის ტუტორის დანიშვნისა და საქმიანობის მხარდაჭერის პრაქტიკით, ხოლო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის (მათ შორის, სკოლის ექიმი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, დაცვა/კარისკაცი და ტექნიკური პერსონალი) საქმიანობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ორგანიზებულ და უსაფრთხო გარემოში წარმართვას. დასაქმებულთა შერჩევა და შრომითი ურთიერთობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და

კონკურსის ჩატარების წესით, ხოლო უსაფრთხოების ნორმები დაცულია კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ცნობების (ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ) წარმოდგენის გზით.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 წ.წ.);

2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

3. საგნობრივი კურიკულუმები და მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის სქემა;

4. მასწავლებელთა პერსონალური საქაღალდეები (უმაღლესი განათლების დიპლომები, სერტიფიკატები, სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები);

5. პერსონალის ნასამართლობისა და უფლებების ჩამორთმევის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები;

6. სკოლის დირექტორის ბრძანებები მაძიებელი მასწავლებლისათვის ტუტორის დანიშვნის, სკოლის ექიმისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად (დირექტორის ბრძანება №1/51). აღნიშნული დოკუმენტით გაწერილია მონიტორინგის ძირითადი ინსტრუმენტები და პერიოდულობა. საფეხურების მიხედვით, საგნობრივი კათედრები და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი რეგულარულად აკვირდებიან სასწავლო პროცესს, ახდენენ კომპლექსური დავალებების

რეალიზაციის აანალიზს და აფასებენ სასწავლო მიზნების მიღწევის დონეს.

2.3.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად იდენტიფიცირდება სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევები და სირთულეები, რის საფუძველზეც კათედრები და პედაგოგები ერთობლივად სახავენ პრობლემების გადაჭრის ეფექტურ გზებს. მაგალითად, თუ მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზი აჩვენებს გარკვეულ სამიზნე ცნებებთან დაკავშირებულ სირთულეებს, ხდება სწავლების მეთოდებისა და დამხმარე რესურსების კორექტირება, დამატებითი კონსულტაციების დაგეგმვა და კომპლექსური დავალებების

პირობების ადაპტირება.

2.3.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მიზნად ისახავს პედაგოგებისა და მოსწავლეების მხარდაჭერას. სკოლაში მოქმედებს გამოცდილების გაზიარებისა და კოლეგიური მხარდაჭერის პრაქტიკა, სადაც მასწავლებლები კათედრის სხდომებზე ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ მიდგომებსა და მეთოდებს. მშობლებისთვის მიწოდებული განმავითარებელი უკუკავშირი და რეკომენდაციები კი ეხმარება მათ შვილების სწავლის პროცესის ეფექტურ თანამონაწილეობაში.

2.3.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
2. კათედრის სხდომის ოქმები და პედაგოგთა რეფლექსიის ფორმები;
3. კომპლექსური დავალებების მონიტორინგის ანგარიშები;
4.სადიაგნოსტიკო ტესტირებისა და შეფასების ანალიზის ფორმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს, რაც მოიცავს მოსწავლეთა მიერ შესრულებულ საკლასო, საშინაო, შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებს, მოსწავლეთა პრეზენტაციებსა და პორტფოლიოებს. ასევე გამოიყენება მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები, პედაგოგების თვითშეფასების და კოლეგიური დაკვირვების მონაცემები.

2.3.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო და პიროვნული კონტექსტი: რამდენად უწყობს ხელს კურიკულუმი მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლებას, რამდენად ეფექტურია შერჩეული თემატური კონტექსტები, რამდენად ხდება წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება. მოსწავლეები ფასდებიან როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ და პროექტულ აქტივობებში.

2.3.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მონაცემთა შეგროვება ხდება სხვადასხვა მეთოდით: პერიოდული სადიაგნოსტიკო ტესტირებით (მათემატიკაში, ქართულ ენასა და ბუნებისმეტყველებაში), SOLO ტაქსონომიით (რომელიც გამოიყენება კომპლექსური დავალებების შეფასებისას), დაკვირვების რუბრიკებით (ჯგუფური მუშაობისა და საპრეზენტაციო უნარების შეფასება), მშობლებისა და მოსწავლეების კითხვარებითა და ზეპირი გამოკითხვებით.

2.3.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ასაკობრივ, სოციალურ და ფსიქო-ემოციურ თავისებურებებს, დავალების სირთულესა და მზაობის დონეს. სკოლა აქცენტს აკეთებს მოსწავლის ძლიერი ხარეების გამოვლენასა და პოზიტიურ უკუკავშირზე (დაწყებით საფეხურზე გამოიყენება „შუქნიშნის ფერები“ და განმავითარებელი კომენტარები), რაც ზრდის სწავლის მოტივაციას.

2.3.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიაზე (SOLO) დაფუძნებული შეფასების რუბრიკები;

2. ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციისა და წერითი დავალებების შეფასების სქემები;
3. მოსწავლეთა ნაშრომების ნიმუშები განმავითარებელი კომენტარებით;
4. მშობელთა და მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები და ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სასწავლო წლის ბოლოს, მიღებული მონაცემებისა და რეფლექსიების საფუძველზე, თითოეული პედაგოგი კათედრას წარუდგენს რეფლექსიისა და გაწეული მუშაობის ანგარიშს. კათედრა ერთობლივად აანალიზებს ძლიერ და გასაძლიერებელ მხარეებს (SWOT ანალიზის პრინციპით) და აყალიბებს სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. გამოკვეთილია გასაძლიერებელი მიმართულებები, როგორიცაა: I-IV კლასებში მონაცემთა შეგროვებისა და დიაგნოსტირების მექანიზმების გაძლიერება, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა სკოლისგარეშე/არაფორმალურ აქტივობებში.

2.4.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის ახალი (გადამუშავებული) ვერსია პირდაპირ ეფუძნება წინა წლის მუშაობის გამოცდილებას, მასწავლებელთა რეფლექსიებს, მონიტორინგის ანგარიშებსა და მშობელთა/მოსწავლეთა კვლევის შედეგებს. კათედრის სხდომებზე ერთობლივი მსჯელობის საფუძველზე, საგნობრივ კურიკულუმებში შედის ცვლილებები — კორექტირდება კომპლექსური დავალებების შინაარსი, იცვლება და ემატება ახალი სასწავლო რესურსები და აქტივობები, რათა მომდევნო სასწავლო წელს პროცესი უკეთ მოერგოს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.

2.4.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პედაგოგთა წლიური რეფლექსიის ანგარიშები;

2. კათედრის წლიური შემაჯამებელი მუშაობის ოქმები და SWOT ანალიზი;

3. კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო პაკეტი;

4. გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმების პროექტები საფეხურების მიხედვით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი :03.08.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ირმა ხმელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: ხატია მჭედლიშვილი.

სპორტის საგნობრივი ექსპერტი : გიორგი კოპლატაძე

საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნობრივი ექსპერტი: ვლადიმერ ბერუაშვილი.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: ეკატერინე ჭელიძე

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი: ხათუნა ფანცულაია

ესთეტიური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი: მადონა ბობოხიძე

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი : თეა ღვინიანიძე.



სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი: ნინო თედიაშვილი

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი: ნინო გორგილაძე

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექპერტი: ეკატერინე მაკარიძე